# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №2(88) 2015 წ. 16-31 იანვარი ფასი 50 თეთრი


გილოცავთ!

## კვლავ გვეწვია „ნინოობა“

იცრიცება ზეცა თეთრად,
ირეკება ცისკრის ზარი,
წმინდა ნინო კვლავ გვეწვია,
ღვთივკურთხეულ გარეჯაში!
მობრძანდება სხივოსანი, თმით შეკრული ვაზის ჯვარით,
უბით მოაქვს უფლის ლოცვა,
გულით რწმენა მაცხოვარის,
დედა ღვთისას მოწყალება,
თავის წილხვედრ მიწა-წყალის,
ეფინება გარეკახეთს, მათი უსაზომო მადლი.
მუხლმოდრეკით შევეგებოთ,
ვინც წყვდიადი გაგვითენა,
გააღვიძა ქართველთ სული,
მაცხოვრის მრწამსს შეუყენა,
გზა გვიჩვენა ჭეშმარიტი,
მარადიულ სოფლისკენა.
თვითონაც აქ დაივანა, დამაშვრალმა ჯაფისგანა.
იმ გზის შემდეგ ამ გზას მივდევთ,
არ ვღალატობთ ჯვარს და ქრისტეს,
ღვთის შეწევნით კვლავ ვღორძინობთ,
თუმცა ბევრჯერ დაგვამიწეს.
ახლაც გვწამდეს და გვჯეროდეს, არ დავკარგოთ უფლის რწმენა,
საქართველო ღმერთის ნებით გრიგალებს კვლავ გადურჩება,
იღორძინებს იმერ-ამერ, ღვთიურ სხივით გაბრწყინდება,
აფხაზეთს და სამაჩაბლოს – გულს ჩაიკრავს როგორც დედა!
ვერავინ ვერ აღუდგება, ამა ქვეყნად ღვთის განგებას,
მტერი, ჩვენზე ხმლით მოსული, მახვილითვე მოისრება!

*ბიჟი*
*დაბახიშვილი*

## რეაბილიტირებულ მემორიალთან



1990 წლის 20 იანვარს, ბაქოში საბჭოთა არმიის მიერ ეროვნულ– განმანთავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას დაღუპული სოფ. ლამბალოს მკვიდრი ალასკარ გაიბოვის ხსოვნის საპატივსაცემოდ შექმნილი მემორიალი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა*** და ***აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში აზერ ჰუსეინმა*** გახსნეს.

პირვანდელი მემორიალი 2013 წელს შეიქმნა, წელს კი „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ძალისხმევით მემორიალის სრულყოფა განხორციელდა. შემოიღობა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია, მოეწყო სკვერი.

რეაბილიტირებული მემორიალის გახსნის საზეიმო ცერემონიას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს, „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ წარმომადგენლები და სოფლის მოსახლეობა ესწრებოდა.

## „ნინოობა“





**საქართველოს** მართლმადიდებელი ეკლესია 27 იანვარს მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმინდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27(14) იანვარს - გარდაცვალება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწმინდაში ნინოობის დღესასწაულს სოფლის მოსახლეობა სხვა საეკლესიო თუ სახალხო დღესასწაულებისგან გამორჩევით. განსაკუთრებულად აღნიშნავს,. მეტიც, შეიძლება ითქვას, სოფ. ნინოწმინდაში ახალ წელს 27 იანვარს აღნიშნავენ.

სოფელში მდებარე წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში დილით წირვა აღევლინა. მომლოცველები მთელი დღის მანძილზე მიდიან ტაძარში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და აიპ „სპორტგაერთიანების“ ერთობლივი ორგანიზებით სოფელში ტრადიციულად ჭიდაობა მოეწყო. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა*** გამარჯვებულებს მარიამ ლაფაჩიშვილს, როინ ყორღანაშვილს, შოთა ბაჩოშვილსა და ლექსო ზუკაკიშვილს თასები გადასცა, ხოლო შეჯიბრის ჩემპიონმა თეიმურაზ ბუზარიაშვილმა საჩუქრად „ჭედილა“ მიიღო.

*ლია კოხტაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი***

ჩვენს მუნიციპალიტეტში

# საკრებულოს სხდომა



**22 იანვრის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან დეპუტატებს გააცნო დღის წესრიგი. დეპუტატებმა მოისმინეს საკითხები, რომელთა განხილვის შემდეგ ცვლილებები შეიტანეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №59, №60, №61, №62 დადგენილებებსა და №149 განკარგულებაში. სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა, ასევე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სხდომამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები განხილულ საკითხებზე.

***30 იანვარს გამართული საკრებულოს სხდომის ანგარიშს შემოგთავაზებთ გაზეთის მომავალ ნომერში.***

# თათბირი გამგეობაში

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის 20 იანვრის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **გიორგი რევაზიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე დაწვრილებით იქნა გამოკითხული მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მდგომარეობა. როგორც გაირკვა, მთელი რიგი სოფლების მოსახლეობა განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს, მიზეზი კი წყლის დებეტის დაკლებაა, რაც წლის ამ დროისათვის ბუნებრივია.

* * *

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის 27 იანვრის თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან გამგებლის წარმომადგენლებს თითოეული სოფლის მიხედვით გამოჰკითხა პრობლემები. ერთ-ერთ პრობლემად კვლავ სასმელი წყლის დებეტის ნაკლებობა დასახელდა, რომელსაც თან ყინვებიც დაერთო.

თათბირზე გამგეობის მთავარმა სპეციალისტმა ეკონომიკის განვითარების საკითხებში გია ბუჩაშვილმა გააკეთა ინფორმაცია მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის გაგრძელების შესახებ და გამგებლის წარმომადგენლებს მისცა შესაბამისი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ისინი ამ პროექტის განხორციელებისთვის იმუშავებენ.

ასევე, ინფორმაცია გააკეთა გამგეობის სოციალურ საკითხთა , განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილების სპეციალისტმა ძაგული მათიაშვილმა იმ ახალი პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებასაც საქართველოს ომის ვეტერანთა დეპარტამენტი აპირებს. კონკრეტულად, ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახებს საშუალება ექნებათ დასახლდნენ საქართველოს საზღვრისპირა სოფლებში, მათ შეექმნებათ პირობები იმისათვის, რომ მოუარონ მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ 25-30 სულ მსხვილფეხა საქონელს, აწარმოონ რძის პროდუქტები და მისგან მიღებული მოგებიდან მათ გადაუნაწილდებათ თანხის გარკვეული პროცენტი.



თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად..

***თათბირის დასასრულ მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც 4 თებერვალი კახეთის მხარეში გამოცხადებულია გარემოს, ქუჩების, უბნების, ეზოების, გასადევრების დასუფთავების დღედ და ამ დღეს მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ.***

თათბირს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **გიორგი რევაზიშვილი.**



## წინ დიდი გამოწვევებია

# დედა, მასწავლებელი, მოლექსე და დეპუტატი



**ნინო** ფოცხვერაშვილი-დალაქიშვილი ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომლებიც წმინდა მოციქულთა სწორისა და ქართველთა განმანათლებლის , საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი დიდი წმინდანის სახელს ატარებს, ალბათ ამის წყალობითაცაა, რომ ფოცხვერაშვილების ძირძველ გვარში დაბადებულს, ბუნებამ თავიდანვე უხვად დაანათლა ყველა ის ნიშანთვისება, რაც ასე ფასეულია უხსოვარი დროიდან დღემდე ყველა ქართველი ქალისათვის: სიკეთე, სათნოება, კდემამოსილება, ნიჭიერება, გონებაგახსნილობა, კარგი ოჯახისა და შვილების დედობა, საქართველოს, მისი ბუნებისა და ხალხის სიყვარული, ამ სიყვარულის შესახებ კი ქაღალდის თეთრ ფურცლებს უზიარებს ხოლმე.

1973 წლის 3 ივნისს დაბადებულმა მანავის II საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მთელი რიგი წლების მანძილზე მუშაობდა მანავის I საშუალო სკოლაში მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, ახლა კი აგერ უკვე მეთერთმეტე წელია, მანავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ში პატარა თანასოფლელების აღზრდასა და ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბების საქმეს ემსახურება. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ დაარსების დღიდანვე არის მისი წევრი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი პროპორციული სისტემით. ყველა ზემონათქვამის მიხედვით იგი ნამდვილად იმსახურებდა ჩვენი გაზეთის ყურადღებას, მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი მისი სახელი და ნინოობის ბრწყინვალე დღესასწაულია, რომელსაც მთელ ქართველ ხალხთან და საქრისტიანოსთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც ზეიმობს და აღნიშნავს. რა თქმა უნდა, დიდი წმინდანის მოსახელეს მივულოცეთ ეს დღესასწაული და შევეცადეთ მისი საუბრიდანაც გაგვერკვია მისი დამოკიდებულება ამ დღეობისა და ზოგადად ჩვენი სარწმუნოების მიმართ.

***— ქნო ნინო! ჩვენის მხრივ ალბათ უხერხული იქნებოდა თქვენთვის იმის კითხვა, თუ რა ღვაწლი მიუძღვის წმინდა ნინოს საქართველოში, მათ შორის ჩვენს კუთხეშიც ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებაში. თქვენ, როგორც დიდი წმინდანის მოსახელე და მორწმუნე ადამიანი, როგორ აფასებთ და როგორ ახერხებთ ამ რწმენის თქვენი აღსაზრდელებისათვის გადაცემას და მათ გულებში ჩვენი მაცხოვრის სიყვარულის გაღვივებას?***

— ჩემი პროფესიიდან და მრწამსიდან გამომდინარე, ჩვენ, ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების აღმზრდელები ვალდებულნი ვართ, ჩვენი პატარები ამ ასაკიდანვე ვაზიაროთ იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რასაც ჭეშმარიტი ქრისტიანობა და ჩვენი რელიგია ქადაგებს. ამ კუთხით მათ პერიოდულად ვუტარებთ საუბრებს ქრისტიანობასა და ქართველ განმანათლებელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მათ იციან, რომ წმინდა ნინომ საქართველოში ქრისტიანობა ვაზის ჯვართან ერთად შემოიტანა, ვასწავლით ამ შინაარსის ლექსებს, ერთხელ კი მათთან ქრისტიანობის შესახებ სასაუბროდ მანავის ბურდიანის უბანში არსებული ეკლესიის მოძღვარიც მოვიწვიეთ. მე ვფიქრობ, რომ ეს ტრადიცია კიდევ უფრო უნდა გამყარდეს და გაგრძელდეს, რადგან თუ პატარა ადრეული ასაკიდანვე ეზიარება და ჩაინერგავს გულში იმ 10 ძირითად მცნებას, რის შესახებაც ჩვენი სარწმუნოება გვავალდებულებს, დამერწმუნებით, ისინი მომავალში ღირსეული ადამიანები და მამულიშვილები გამოვლენ.

***— ნინო, მე ვიცი, რომ თქვენ სკოლის პეროდშივე წერდით ლექსებს, რელიგიურ თემებზეც გექნებათ დაწერილი ლექსი?***

— ლექსების წერა ადრეული ასაკიდანვე დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ.. როცა რაიმე შემომეძალება ხოლმე გულსა და გონებაში, კალამს მივმართავ და ქაღალდის ფურცლებს ვუზიარებ ჩემს საფიქრალს. ძირითადად ჩემი ლექსები საქართველოსა და მის მიწა-წყალს, ბუნებას, ჩვენს ხალხს, მის ტრადიციებს და ყოფით ჩვევებს ეძღვნება. რა თქმა უნდა, მაქვს რელიგიურ თემებზე დაწერილი ლექსებიც, რასაც, თუ საჭიროდ ჩათვლით გაზეთის ფურცლებსა და თქვენს მკითხველსაც გავანდობ...

***— არ მინდა ვინმემ პიარში ჩამოგვართვას, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში თქვენი საქმიანობის შესახებ. რა ფუნქცია გაკისრიათ ამ საკანონმდებლო ორგანოში და თქვენი აზრით, როგორ ახორციელებთ თქვენზე დაკისრებულ მოვალეობას?***

— როგორც ცნობილია, არჩეული ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი მოწვევის დეპუტატად პროპორციული სისტემით კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. ვარ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. კომისიაში მისი თავმჯდომარის მევლუდ დუჩიძის ჩათვლით რვა წევრი ვართ გაერთიანებული, მათ შორის ორი ქალი – მე და მარიამ სუხიაშვილი, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კომისიის საქმიანობაში. შესაძლებლობიდან გამომდინარე, ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას იმ პრობლემების მოგვარებაში, რასაც ისინი სადღეისოდ აწყდებიან თითქმის ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ზოგჯერ უძლურნი ვართ ხოლმე დროულად და სათანადოდ მივხედოთ მათ სატკივარს. ამიტომ, ვფიქრობ, სამომავლოდ უფრო მეტად უნდა ვიყოთ ორიენტირებული ამ საკითხების მოგვარებაზე, როგორც ჩვენი კომისია, ისე მისი თითოეული წევრი, მით უმეტეს, რომ ახალი წლიდან ჩვენი ბიუჯეტი სწორედ ამ საკითხზეა ორიენტირებული.

***— როგორც დედა, პედაგოგი, პოეტი და დეპუტატი, როგორ მიულოცავდით ნინოობას საქართველოსა და მის ხალხს, რას უსურვებდით მათ ახალი 2015 წლისათვის?***

— სრულიად საქართველოს, მთელ ქართველ ხალხს მივულოცავ ნინოობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას და ბედნიერებას, იმას, რომ აღარ გვყავდეს ამდენი გაჭირვებული და ლტოლვილი ხალხი, საქართველო ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანდეს და გაბრწყინდეს, რომ ჩვენ მომავალ თაობებს ჰქონდეთ ნათელი და ბედნიერი მომავალი და შეძლონ ყველა იმ სასიკეთო თვისებების გამოვლენა-გამომზეურება, რაც ქართულ სისხლსა და გენში დევს.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

## გთავაზობთ ნინოს რამდენიმე ლექსს

* * *

ეს ჭრილობები შეხორცებას სულ არ აპირებს,
სული დაეძებს აფხაზეთში ნაცნობ ნაპირებს,
ჩვენი ტკივილი მოშუშებას ვერ ეღირსება,
თუ საქართველო ნაწილებად დანაწევრდება.
ქართველის გული აფხაზეთი, სამაჩაბლოა,
ქართველის ტანჯვა –
გაყოფილი საქართველოა.

### უფლის დალოცვა

დედა ღვთისმშობელს დაულოცავს
ქართველთა მოდგმა
და წმინდა ნინოს ჯვარი ფარავს
იმერს და ამერს.
სვეტიცხოველში სული წმინდა ჩასახლებულა
და მცხეთის ჯვარი გადმოჰყურებს
მტკვარსა და არაგვს.
ჩემი სამშობლოს პაწაწინა მიწის ნაწილი –
უფლის ლოცვა და კურთხევაა
დედა ღვთისმშობლის.

* * *

ალბათ არასოდეს მინატრია
აღზევება და დიდება,
ალბათ არასოდეს მიფიქრია
განმარტოვებით მიგდება.
მხოლოდ სამშობლოს ერთგულება,
სიყვარული გულზე მაჩნია.
ესეცა მყოფნის ნეტარების
წამის ცრემლებად.
ვერ ვეგუები უსამართლო
მარწუხის ჭერას.
ვერ ვეფერები პირფერობით
ცრუსა და ორგულს.
თუ ჩემს სამშობლოს სამსხვერპლოზე
მისვლა დასჭირდა
არ დავფიქრდები თავს უყოყმანოდ
ისე გავწირავ

# პროგრამა გრძელდება

**მცირემიწიან** ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა კვლავ გრძელდება. ამ პროგრამით მოსარგებლეები (ბენეფიციარები) არიან:

* **ფერმერები**, რომელთა საკუთრებაში სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1.25 ჰა-ს.

* **ფერმერები**, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1.25 ჰა-ს.

ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

პროექტის ფარგლებში მოსარგებლენი სარგებელს მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან აგრობარათზე დარიცხული ქულების სახით.

აღსანიშნავია, რომ **მოსარგებლეებს**, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – „აგრო ბარათზე“ დაერიცხებათ 50 ქულა.

**მოსარგებლეებს**, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელსაც იყენებენ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად:

**გადაეცემათ** ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათი, ერთ ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

მოსარგებლეებს, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზეც გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურების ნარგავები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი:

„აგრო ბარათზე“ **დაერიცხებათ** ნაკვეთის ფართობის პროპორციული ქულების რაოდენობა 1 ჰა-ზე 140 ქულის გადაანგარიშებით.

**მოსარგებლეს** პროექტით გათვალისწინებული სარგებელი გადაეცემა მის საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურების მოსაყვანი სახნავი მიწის ნაკვეთის ფართობის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს არ გააჩნია სახნავი მიწის ნაკვეთი, მას სარგებელი გადაეცემა მის საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ფართობის მიხედვით.

აგრობარათების ბენეფიციარებზე გაცემა დაიწყება 2 თებერვლიდან.

## კანონდამრღვევთა მიმართ კანონი მკაცრია

# სისუფთავის დაცვა ჩვენივე ჯანმრთელობის თავი და თავია

**კანონი** „ნარჩენების მართვის შესახებ“ 15 იანვრიდან ამოქმედდა. როგორც გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ამბობენ, კანონი სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს და ითვალისწინებს ევროპაში არსებულ რეგულაციებსო. მაგრამ, ჩვენი შეგნება, გარემოს მიმართ ჩვენი დამოკიდებულება თუ შეესაბამება იმ ევროპელთა შეგნებას, რომლებიც მხოლოდ თავიანთი ჯიბის გამო არ იცავენ კანონს – ისინი თავიანთი ქვეყნის, ბუნების, თავიანთი საცხოვრებელი გარემოს მოყვარულები და პატივისმცემლები არიან. ჩვენთან შედარებით, მათ უკეთ აქვთ შესისხლხორცებული, თუ რას ნიშნავს გარემოს, ქუჩის, სოფლის, ქალაქისათვის სისუფთავე, წესრიგის დაცვა. მხოლოდ სუფრასთან, გრძელი სადღეგრძელოების თქმისას ვიცით ქართველებმა რა ლამაზი სამშობლო გვაქვს, მთებით, მდინარეებით, ულამაზესი სავარგულებით და არც კი გვახსენდება, როგორაა ჩვენი ხელით დაბინძურებული ჩვენი ლამაზი მდინარის ნაპირები, ტყეები, მდელოები პლასტმასის ბოთლებითა და ცელოფანის პარკებით. ამ უკანასკნელს კი ხეებსა და ბუჩქებზედაც უხვად შენიშნავთ. ხშირად გვინახავს სამშენებლო მასალითა თუ გამოუყენებელი ინერტული მასალით ჩახერგილი ქუჩები, ტროტუარები, გასასავლები, რომლებიც ზოგჯერ თვეობითაც „ამშვენებს“ ჩვენს ქუჩებს. ისიც გვინახავს – ნაგვის ურნები ცარიელია, მაგრამ ნარჩენები მის გარშემოა მიმოფანტული. დღეისათვის საგარეჯოს, ნინოწმინდისა და გიორგიწმინდის მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას შპს „პროგრესი 2011“ (დირექტორი ფრ. კოხტაშვილი) ემსახურება. ყოველდღიურად 6 მძღოლი, 6 ავტომანქანა და 12-15 მუშა დილის 8 საათიდან სარამოს 5 საათამდე ცდილობს მოსახლეობის მომსახურებას, ქუჩებში არსებული ურნების დასუფთავებას, ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანას, მაგრამ... შუადღემდე ისევ ივსება ნაგვის ურნები, მათ გარშემო ჩნდება ნაგვის გროვები.

15 იანვრამდე არ არსებობდა დასუფთავების წესების დამრღვევთა გამოვლენისა და დაჯარიმების მექანიზმი უბრალო მიზეზით გაუმართავი საკანონმდებლო სისტემის გამო. ახლა კი ეს მექანიზმი ამოქმედდა, ამოქმედდა ჩვენი ჯანმრთელობისა და კულტურის დონის ასამაღლებლად. კანონი მკაცრია და მას ყველა უნდა დავემორჩილოთ...

4 თებერვალი კახეთის მხარეში დასუფთავების დღედ არის გამოცხადებული, რომელშიც თითოეულმა მოქალაქემ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

***კარგი იქნება, თუ დავიმახსოვრებთ ჯარიმის ოდენობას და გავუფრთხილდებით გარემოს და საკუთარ ჯიბეს (იბეჭდება შემოკლებით):***

– 2 კგ-მდე ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება – 80 ლარი;

– საცხოვრებელი სახლებიდან ან შენობა-ნაგებობებიდან გარემოს 2 კგ-მდე ნარჩენებით დანაგვიანება – 100 ლარი;

– ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან გარემოს 2 კგ-მდე ნარჩენებით დანაგვიანება – ჯარიმდება მძღოლი 120 ლარით;

– მსაზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებიდან გარემოს 2 კგ-მდე ნარჩენებით დანაგვიანება – ჯარიმდება დამრღვევი 120 ლარით;

– 2 კგ-მდე ბატარეებით, აკუმლატორებით, ელექტრონათურებით, ელექტროსაქონლით, გრაფიტის ელექტროსადენებით, ასევე ბასრი ან მჩხვლეტავი საგნებით, შუშის ნამსხვრევებით, ლურსმნებითა და სხვა მსგავსი ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება – 100 ლარი;

***– 2კგ ან მეტი ოდენობის მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება:***

ფიზიკური პირი – 150 ლარი;

იურიდიული პირი – 500 ლარი;

***– 1მ$^3$-მდე მოცულობით სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება:***

ფიზიკური პირი – 200 ლარი;

იურიდიული პირი – 500 ლარი;

***– 1მ$^3$ ან მეტი მოცულობით სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება:***

ფიზიკური პირი – 500 ლარი;

იურიდიული პირი – 1500 ლარი;

# აგროდაზღვევა

**ყოველ** სიახლეს ფერმერი დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით ეცნობა. როგორც ჩანს, ჩვენი ფერმერები ამ ფიქრს დიდხანს ანდომებენ, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითზე კი უკვე გამოცდილი და კარგა ხნის მიღებულიცაა ესა თუ ის სიახლე. დღეს, როცა ბუნებრივი მოვლენები, საშინელი კატაკლიზმები არ ინდობს სოფლის მეურნეობის თითქმის არც ერთ დარგს, საჭირო ხდება სწრაფად ვიაზროვნოთ და ვისარგებლოთ იმ სერვისებით, რასაც სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები სთავაზობენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ფერმერებს, კოოპერატივებს. ამჯერად აგროდაზღვევის სიკეთეს გაგაცნობთ, ძვირფასო მკითხველებო.

სოფლის მეურნეობის დარგმა ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს. დღეს სოფლს მეურნეობა პრიორიტეტულად არის გამოცხადებული და დაიწყო სისტემური ცვლილებების განხორციელება, რაც გლეხებს, ფერმერებსა და მეწარმეებს მეტ სტიმულს მისცემს, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგის მაქსიმალურად სწრაფ და ეფექტიან განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა, დღეს ის მსოფლიო მოწინავე ქვეყნებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებით.

აგროდაზღვევა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებშიც კი მას აგრარულ კომპანიასთან ერთად სახელმწიფო ინაწილებს. მაგალითად, იტალიაში აგროდაზღვევის 64-67%-ს სახელმწიფო აფინანსებს, ესპანეთში – 49%-ს, ავსტრიაში – 35%-ს, საფრანგეთში – 50%-ს, შესაბამისად, ფერმერები ენდობიან აგროდაზღვევის სერვისს, ესპანეთში მოსავალს აზღვევს ფერმერების 70%-ზე მეტი, აშშ-ში – 50%.

აგროსადაზღვევო ინდუსტრიის განვითარება კი, მოგეხსენებათ, რამხელა სიკეთედ წაადგება ჩვენს სოფლის მეურნეობას და ქართველ ფერმერებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2015 წლიდან იწყებს აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამას.

პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ ფერმერებს საშუალება ეძლევათ დააზღვიონ მოსავალი და სტიქიისაგან დაზიანების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიებისაგან.

პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მოსავლის დაზღვევა შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვაზე, ჭარბ ნალექზე, ქარიშხალზე, საშემოდგომო ყინვაზე.

დასაზღვევად მიიღება მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი, ან/და პს კოორდინატები.

სადაზღვევო პოლისის გაცემის დროს დამზღვევმა უნდა გადაიხადოს პრემიის მხოლოდ ნაწილი, ხოლო დანარჩენს გადაიხდის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. სააგენტოს მიერ ერთ დაზღვევაზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე კი – 50000 ლარს.

აგროდაზღვევის პროგრამა არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია სადაზღვევო პრემიის ზედა ზღვარი და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით:

| სასოფლო-სამეურნეო კულტურები | სააგენტოს თანადაფინანსება | დამზღვევის თანადაფინანსება | სადაზღვევო პრემიის (ტარიფის) ზედა ზღვარი |
|---|---|---|---|
| მარცვლეული კულტურები | 6% | 0.5-2% | 8% |
| პარკოსანი კულტურები | 6% | 0.5-2% | 8% |
| ბოსტნეულ კულტურები | 8% | 0.5-4% | 12% |
| ბაღჩეული კულტურები | 10% | 0.5-6% | 16% |
| ვაზი | 8% | 0.5-4% | 12% |
| ხეხილი | 8% | 0.5-4% | 12% |
| კენკროვანი კულტურები | 10% | 0.5-4% | 14% |
| კაკლოვანი კულტურები | 6% | 0.5-2% | 8% |
| სუბტროპიკული კულტურები | 10% | 0.5-4% | 14% |
| ციტრუსი | 8% | 0.5-3% | 11% |

სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, ბენეფიციარზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. თუ ზიანი მიადგა დაზღვეული ტერიტორიის ნაწილს, ანაზღაურება განისაზღვრება ამ ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად ფერმერებმა უნდა მიმართონ შემდეგ სადაზღვევო კომპანიებს: შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი“ ჯგუფი ტ: 2203333;ლ სს სადაზღვევო კომპანა „ალდაგი“ ტ. 2444999; შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ ტ. 2949949; შპს დაზღვევის კომპანია „ქართუ“. ტ. 2230303; სს სადაზღვევო კომპანია „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“ ტ. 250511, სადაც სადაზღვევო აგენტი ზუსტად განუსაზღვრავს ფერმერებს ყველა ტექნიკურ საკითხს, რათა ზუსტად გაერკვნენ სახელმწიფოს სუბსიდიების მექანიზმში, ფერმერის მიერ გადასახდელ პრემიასა და სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებაში.



***ზარალის ანაზღაურების განსასაზღვრავად გთავაზობთ ერთ მაგალითს. თუ ფერმერს დაზღვეული აქვს 1 ჰა ხორბალი 3 ტონა მოსავალზე – კილოგრამი 0.54 ლარად და დადგა ზარალი 100%-ით. 3000 (კგ)X0.54 (ლარი) =1620 ლარი.***

***ფერმერს აუნაზღაურდება 1620-10%=1458 ლარი/ჰა. ეს მაშინ, როდესაც ფერმერი გადაიხდის სადაზღვევოდ მხოლოდ 8.10 ლარს. 10% ეს არის ფრანში, ანუ ფერმერის მონაწილეობა ზარალში***

*ნიკო ჯავახიშვილი,*

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.***

№2(88) 2015 წელი, 16-31 იანვარი

ჯანმრთელობა

# ჯანდაცვის ახალი პროექტი

## პროგრამა – „C ჰეპატიტის ალიმინაცია“ – „ჩვენი მთავრობის მთავარი გამოწვევა“



**ახალი** წლის დასაწყისშივე ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ეს წელი „C ჰეპატიტის“ სრული დაძლევისა და ალიმინაცის, ანუ აღმოფხვრის წლად გამოაცხადა, საამისოდ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის დახმარების იმედი აქვს.

საკითხი, დაავადება, რომელიც ჯანმრთელ ადამიანებს აშინებს და აინტერესებს – განკურნებადია, ოღონდ მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება, რომელიც მზად არის და პირველ ნაბიჯებსაც დგამს. პროექტის შესახებ გვესაუბრება ***შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრის ექიმი-ინფექციონისტი* ციური პეტაშვილი**:

– დაავადება, რომელიც მედიცინაში „C ჰეპატიტის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მსოფლიოს ყველა ქვეყანას სერიოზულ საფიქრალს უჩენს – ერთობ ძვირადღირებული მკურნალობით. ჯერ-ჯერობით მსოფლიოში 150 მილიონი ადამიანია დაავადებული, – გვეუბნება სტატისტიკა – რომელიც მსოფლიო მედიცინას დამშვიდების უფლებას არ აძლევს. 2000 წელს ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევებით, საქართველოში მოზრდილი ადამიანების 6,5% იყო ჰეპატიტის ვირუსით დაავადებული. აღნიშნული ვირუსით ამ ბოლო თოთხმეტ წელიწადში მოსახლეობის კიდევ რა ნაწილი დასნებოვნდა, არავინ იცის,მიახლოებით კი ასე ანგარიშობენ – 100-150 ათასი კაცი...

როგორც ამბობენ, ერთი წლის წინ მის სამკურნალოდ ახალი მედიკამენტი გამოვიდა – სოფოსბუვირი, რომელიც აფთიაქში სოვალდის სახელწოდებით იყიდება. მედიკამენტს გვერდითი მოვლენა არ აქვს, ამასთან, განკურნების 90-95% გარანტიას აძლევს დაავადებულს, მაგრამ საქართველოში მისი გასაყიდი ფასი 46 ათასი ევროა.

„C ჰეპატიტი“ ძირითადად ყოველგვარი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს და ისეთ დროს ვლინდება დაავადებულში, როცა დაავადება ერთობ შორსაა წასული, ზოგჯერ იმდენად შორს, რომ ლეტალობით ისე მთავრდება, შეიძლება ბოლო პერიოდში დაისვას დიაგნოზი. მიზეზი სწორედ მისი უსიმპტომობაა, ამიტომაც მას „ვერაგ“ დაავადებასაც უწოდებენ. მისი გამოვლენა ხშირ შემთხვევაში შემთხვევით ხდება, როცა პაციენტი სხვა დაავადების გამოსკვლევად, ოპერაციის წინ იკეთებს ლაბორატორიულ გამოკვლევებს. დღეს ბევრს არა აქვს დალხენილი ცხოვრება, რომ ლაბორატორიულ გამოკვლევებში საკმაოდ სოლიდური თანხა 500-დან 1000 ლარამდე გადაიხადოს, თუმცა ლაბორატორიული ანალიზი თვითდაზღვევის მიზნით, ან დაავადების გამოსაკვლევად მაინც იაფია – 8-დან 15 ლარამდე. ვფიქრობ, ეს თანხა არ უნდა დაზოგოს ადამიანმა,რადგან ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, ბოლოსდაბოლოს რა ჯდებოდა წლების წინ მკურნალობა 10-12 ათასი დოლარი. მოგეხსენებათ, გამოკვლევებს არც საყოველთაო დაზღვევა და არც კერძო სადაზღვევო კომპანიები არ აფინანსებენ. ამდენად, საწყის ეტაპზე – ანალიზის გაკეთება ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომია?

***– როგორც ვიცით, გასული წლის ივლისში „C ჰეპატიტის“ მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის პროგრამაც ამოქმედდა...***

– დიახ. „C ჰეპატიტით“ დაავადებულ ადამიანს შეეძლო სამედიცინო დასკვნით საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური კომისიისათვის მიემართა და კომისია განხილვის შემდეგ, თუ პაციენტი ყველა იმ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა, მაშინ ის ამ პროგრამაში ჩაერთვებოდა.

***– და რას აძლევდა ეს პროგრამა მას?***

– კომისიის დასკვნის საფუძველზე დაავადებულ პაციენტს ეძლეოდა ფასდაკლების ვაუჩერი და მედიკამენტს ის 60%-იანი ფასდაკლებით ყიდულობდა. საერთოდ, გენოტიპის მიხედვით ასეთ პაციენტს ექვსთვიანი ან ერთწლიანი მკურნალობა სჭირდება. და წარმოიდგინეთ, თუ ამ ფასდაკლების ვაუჩერით იგი 220 დოლარის ნაცვლად მედიკამენტ ინტერფერონის დოზას 92 დოლარად შეიძენს?

***– ერთწლიანი მკურნალობა ამ შემთხვევაში რა ჯდება დაახლოებით?***

– თუ ადრე ერთწლიანი მკურნალობა 12 ათასი დოლარი ჯდებოდა, ახლა 4-4,5 ათასი დოლარი ჯდება, თუ ექვსთვიანი მკურნალობა 6000 დოლარი ჯდებოდა, ახლა 2-2,5 ათასი დოლარი ჯდება.

***– თქვენ ამბობთ ფასებში ისეთ რიცხვებს, რომლებსაც ათასი პაციენტიდან 2-3 თუ შეძლებს...***

– დიახ. ჩვენი მოსახლეობის დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკის ფონზე ეს ჯანმრთელობისათვის მართლაც მაღალი თანხებია. ამიტომაც იყო, რომ ამ პროგრამაში მხოლოდ 800-ზე ცოტა მეტმა პაციენტმა მოახერხა იმ 100-150 ათასი კაციდან. მანამდე კი ალბათ 100-150 კაცი თუ ახერხებდა.

***– ცნობილია,რომ მანამდე,გასული წლის ივლისამდე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა – „C ჰეპატიტით“ დაავადებულ პატიმრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩაუტარდათ უფასო გამოკვლევები და უფასო მკურნალობა. მართალია, ასეთი სისტემის დაწესებულებებში მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობაა და იქიდან გათავისუფლებულმა დაავადებულმა ადამიანმა შეიძლება უფრო მეტი დაასნებოვნოს...***

– დიახ. ეს 2011 წლიდან დაიწყო. მაგრამ ეს იყო შიდსით დაავადებულ „C ჰეპატიტის“ მქონე პატიმრებისათვის. დაიწყო და დღესაც წარმატებით ხორციელდება, რადგან შიდსით დაავადებულები „C ჰეპატიტისგან“ იკურნებიან და ასე უხანგრძლივდებათ სიცოცხლე. თუმცა, ეს მხოლოდ 150-200 დაავადებულზე მოხდა.

***– ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში რა ხდება, რამდენი დაავადებულია და როგორ ჩაერთვებიან ისინი იმ პროგრამაში, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება?***

– ჯერ-ჯერობით ვერ გეტყვით ვერაფერს. ვიცით მხოლოდ ის, რომ თუ ამერიკის დაავადების კონტროლის ცენტრთან ჩვენი შესაბამისი ცენტრი მოლაპარაკებას აწარმოებს მასთან და თუ პროექტი გავიდა, მაშინ მხოლოდ დაავადებულებს კი არ ეშველებათ, რისკ-ჯგუფსაც გამოიკვლევენ და უმკურნალებენ. ეს პროექტი იმ მედიკამენტის მნიშვნელოვანწილ ფასდაკლებას (ნაწილობრივ სახელმწიფო დააფინანსებს, მცირე ნაწილს – პაციენტი) ან უფასოდ მოხმარებას გულისხმობს, რომელიც „C ჰეპატიტით“ დაავადებულთა 100%-ით მკურნალობას ითვალისწინებს. დღევანდელი მდგომარეობით ამ მედიკამენტის სამთვიანი კურსი 88 ათასი დოლარია აშშ-ში... ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს რეალობას.

ჯანმრთელობა

# რა უნდა ვიცოდეთ შაქრიანი დიაბეტის შესახებ

*** იმ** გლობალური სამედიცინო პრობლემებისგან, რომელიც დღეს აწუხებს მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა შაქრიანი დიაბეტი, რომლის შესახებ გვესაუბრება საგარეჯოს კლინიკა „Life“-ის მენეჯერი, ექიმი ენდოკრინოლოგი* **ნესტან ურდულაშვილი:**



მსოფლიოში 246 მილიონი ადამიანია შაქრიანი დიაბეტით ავად, 2025 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 380 მილიონს მიაღწევს. ყოველ წელს 3,8 მილიონი კაცი იღუპება შაქრიანი დიაბეტის გართულებებით. მათგან 50% - 40-60 წლის ასაკისაა.

შაქრიანი დიაბეტის სიკვდილიანობის მიზეზთა შორის შაქრიანი დიაბეტი მსოფლიოში მესამე ადგილზეა. დაავადების გახშირებას მრავალი თეორიით ხსნიან, თუმცა უკანასკნელ ხანს უპირატესად ცხოვრების წესს და დაძაბული ცხოვრების ფონზე ფიზიკური აქტივობის მინიმუმამდე დაყვანას უკავშირებენ,აღსანიშნავია გენეტიკური ფაქტორიც, ზოგჯერ ის აღმოცენდება პანკრეატიტის შემდგომ, ზოგჯერ დაკავშირებულია ტკბილეულის გადაჭარბებულ მიღებასთან, ინფექციურ დაავადებასთან, ასევე ფსიქიკურ ტრავმასთან. ჭარბი წონა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დიაბეტის განვითარების თვალსაზრისით, ასევე რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან დედები, რომლებსაც 4,0-4,5კგ- ზე მეტი წონის ახალშობილი შეეძინათ.

პანკრეასი ანუ კუჭქვეშა ჯირკვალი ის ორგანოა, რომლის ბეტა უჯრედებში გამომუშავდება ჰორმონი ინსულინი. ინსულინის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს შაქრიანი დიაბეტის განვითარებას, თუმცა სხვა შემთხვევებში ინსულინი შეიძლება გამომუშავდეს საკმაო რაოდენობით, მაგრამ ნივთიარებათა ცვლის ზოგადი მოშლის გამო ვერ მოქმედებდეს ეფექტურად, ამიტომაცაა რომ არსებობს დიაბეტის სხვადასხვა ფორმა. დიაბეტის გამოვლინებები მრავალფეროვანია. ზოგი ავადმყოფი წონაში იკლებს, თუმცა მადა გაძლიერებული აქვს. ზოგს შეიძლება ნორმალური ან ჭარბი წონა ჰქონდეს, დამახასიათებელია საერთო სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, პირის სიმშრალე, გახშირებული შარდვა, ქავილი, თვალების აჭრელება, მხედველობის დაბინდვა.

დიაბეტი გამოვლინდება სისხლსა და შარდში გლუკოზის გამოკვლევების საფუძველზე, არცთუ იშვიათად გამოკვლევების დროს სისხლში გლუკოზის მომატებული დონე აღმოაჩნდება თითქოსდა ჯანმრთელ ადამიანს.

ხშირად დიაბეტი ფარულად მიმდინარეობს და გართულებები იპყრობს ყურადღებას – ტანის ქავილი და ჩირქიანი დაავადებები, მხედველობის დაქვეითება, კიდურებში მგრძნობელობის მოშლა და ტკივილი, სტენოკარდიის შეტევები, ღვიძლის გადიდება და გამკვრივება, თირკმელების დაზიანება არტერიული სისხლის წნევის მომარაგებით, ზოგჯერ შეიძლება განვითარდეს დიაბეტური კომა ცნობიერების დაკარგვით.

მკურნალობისთვის აუცილებელია დადგინდეს თუ რომელი ტიპის დიაბეტი აქვს ადამიანს. პირველი ტიპის შემთხვევაში მკურნალობა ხდება ძირითადად ინსულინის საშუალებით. მეორე ტიპის დიაბეტის დროს კი პირველად დიეტა და თუ ვერ მივაღწევთ ნორმოგლიკემიას, მაშინ ორალური მედიკამენტები ან ინსულინი.

***როგორ ავიცილოთ თავიდან დიაბეტის გართულებები?***

– დიაბეტით შეიძლება ვიცოცხლოთ დიდხანს სრულფასოვანი, აქტიური ცხოვრებით თუ გვეცოდინება მისი გართულებების თავიდან აცილების გზები.

– თუ თქვენ შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი დაგისვეს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ თქვათ უარი ნახშირწყლებზე, უბრალოდ უპირატესობა მიანიჭეთ ისეთი ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებს, რომლებიც ნელა გადამუშავდება ასეთებია: პარკოსნები, ნიგოზი, ახალი ხილი და ბოსტნეული.

– ეცადეთ მოიშოროთ ჭარბი წონა , რაც დაგეხმარებათ არტერიული წნევის დარეგულირებასა და სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის დონის დაქვეითებაში. მოიწესრიგეთ ძილი - ჯანმრთელი ძილი დღე–ღამეში 7-8 საათს გრძელდება. ფიზიკურად მეტად იაქტიურედ – სიარულმა, ცურვამ, ველოსიპედით სეირნობამ, ადგილზე სიარულმაც კი შეიძლება დასწიოს გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების რისკი. შეამციროს ქოლესტერინის დონე და წონა, არტერიული წნევა . დღეში ნახევარი საათი მაინც დაუთმეთ ფიზიკურ აქტივობას.

– ყოველდღე გაიზომეთ სისხლში შაქრის დონე, რისთვისაც გირჩევთ შაქრის გასაზომი აპარატების შეძენას.

– შეძლებისდაგვარად თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს.

– უთხარით მარილს „არა“.

– ეცადეთ ნაკლებმარილიანი კერძები მოამზადოთ.

– ერიდეთ სხეულის დაზიანებას. უბრალო ნაკაწრიც კი არ დატოვოთ ყურადღების გარეშე. დაითვალიერეთ ფეხები ხომ არ გაქვთ ნაკაწრი, შეწითლება, შესივება.

ნუ მოსწევთ! სწორად შეარჩიეთ საკვები. მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული ,მწვანილი , თევზი , ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები, ასევე აუცილებელია მკურნალობაში ვიტამინების მედიკამენტების სახით მიღებაც.

ხშირად მიაკითხეთ ექიმს. წელიწადში ერთხელ ჩაიტარეთ სრული გამოკვლევა. მოუარეთ თქვენს ორგანიზმს , დაეხმარეთ მას დაავადებასთან ბრძოლაში და იცხოვრეთ გართულებების გარეშე.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ !

“ჰელენიქეარ“-ის ბერძნული სამედიცინო ფონდი „ჰიპოკრატე“–ს სამედიცინო ჰუმანიტარული ორგანიზაცია მონაწილეობს სახელმწიფო სკრინინგის პროგრამაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი და კოლპოსკოპია 25-60 წლის ასაკის ქალებში, ასევე 50–70 წლის მამაკაცებში პროსტატას კიბოს სკრინინგი.

ზემოაღნიშნული პროექტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის იანვარ–თებერვლის თვეებში განხორციელდება, გთავაზობთ განრიგს, სადაც აღნიშნულია პროექტის განხორციელების თარიღი და ტერიტორიული ერთეული.

27.01.2015 გომბორი
28.01.2015 უჯარმა
29.01.2015 ხაშმი
30.01.2015 პატარძეული
3.02.2015 ნინოწმინდა
4.02.2015 გიორგიწმინდა
5.02.2015 თოხლიაური
6.02.2015 მანავი.
10.02.2015 დ.ჩაილური
11.02.2015 პ. ჩაილური
12.02.2015 კაკაბეთი
13.02.2015 ვერხვიანი
17.02.2015 ყანდაურა
18.02.2015 ბადიაური
19.02.2015 მზისგული
20.02.2015 შიბლიანი
24.02.2015 იორმუღანლო
25.02.2015 უდაბნო

გისურვებთ ჯანმრთელობას !

## მართლმადიდებლობა

# წმინდა ნინო

# წმინდანის სარეცელს ძვრა ვერ უყვეს და ამიტომ იქვე, ბოდბეს დაკრძალეს

**წმინდა ნინოს** ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს აღინიშნება მისი საქართველოში შემოსვლა, ხოლო 27 (14) იანვარს – გარდაცვალება.

ისტორიული წყაროების მიხედვით, მცხეთაში მოსული წმინდა ნინო პირველი სამი წლის განმავლობაში „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაითა... და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან“, იქ, სადაც სამთავროს დედათა მონასტერია, საქართველოს პირველ ქრისტიან მირიანს ეკლესია აუგია.

საყდრის გვერდით დღესაც ხარობს მაყვლის ბუჩქი, რომელმაც წმინდა ნინო შეიფარა. მასში ქალწული რამდენიმე ხანს იმალებოდა. სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში, სხვა სიწმინდეებთან ერთად დაბრძანებულიაწმინდა ნინოს წმინდა ნაწილებიანი ხატი. როგორც წარწერა გვაუწყებს, 1870 წელს საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილიშვილის შვილმა, რუსეთში მცხოვრებმა იოანე ბატონიშვილმა შემოსწირა სამთავროს დედათა მონასტერს. ხატში ჩაბრძანებულია ოცდაერთი წმინდანის წმინდა ნაწილები. ესენია:

1. წმინდა ფილიპეს
2. წმინდა სტეფანეს
3. წმინდა გიორგის
4. წმინდა შუშანიკის
5. წმინდა სვიმეონის
6. წმინდა კოზმას
7. წმინდა დამიანეს
8. წმინდა ხარიტონის
9. წმინდა ბარბარეს
10 წმინდა ესტატეს
11. წმინდა ნიკოლოზის
12. წმინდა გრიგოლის
13. წმინდა ქეთევანის
14. წმინდა ანასტასის
15. წმინდა დიმიტრის
16. წმინდა ეკატერინეს
17. წმინდა ანტონინას
18. წმინდა ხარლამპის
19. წმინდა თეოდორეს
20. წმინდა ფოკას
21. წმინდა ტრიფონის

## ბოდბე

**ბოდბის** ეპარქია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქიზიყში, ძველ კამბეჩოვანში მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის ქალაქები: სიღნაღი, დედოფლისწყარო, წნორი და მათი მიმდებარე ტერიტორიები. ქართული საისტორიო ტრადიცია ამ მხარის მოქცევას მოციქულთა სწორს, წმინდა დედა ნინოს უკავშირებს, რომელიც დაკრძალულია ბოდბის ეპარქიის საკათედრო ტაძარში. წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა. მეფე მირიანმა, რომელსაც სურდა პატივი მიეგო ქართველთა განმანათლებლისათვის, სვეტიცხოველში, მაცხოვრის კვართის ახლოს განიზრახა მისი დაკრძალვა, მაგრამ წმინდანის სარეცელს ძვრა ვერ უყვეს და ამიტომ იქვე, ბოდბეს დაკრძალეს.

მას აქეთ წმინდა ნინოს საფლავი ქართველი ერისათვის მადლისა და კურნების ცხოველ წყაროდ იქცა. მეფე მირიანმა წმინდანის ლუსკუმაზე „ფრიად დიდი“ და „ყოვლითა სამკაულითა შემკული“ ტაძარი ააგო, გარდაცვალების წინ კი ანდერძად დაუტოვა თანამეცხედრეს: – თუ დაგცალდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამეფო განძი ორად გავყავი და ერთი ნაწილი წმინდა ნინოს საფლავს შევწირე, რათა უკუნისამდე შეუძვრელად იყოს ეს ადგილიო.

V საუკუნეშივე წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა განაახლა და გააფართოვა ტაძარი, XII საუკუნეში კი დავით აღმაშენებლის ვაჟის დიმიტრი I-ის მეფობის ჟამს, წმინდა ნინოს განსასვენებელი კიდევ ერთხელ შეიმკო.

მოციქულთასწორის საფლავი იმხელა მადლით იყო მოსილი, რომ მონღოლებმაც კი, რომელთაც მიწასთან გაასწორეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო, ვერ გაბედეს მისი ხელყოფა; ოდენ მცირე ზიანი მიაყენეს ტაძარს.

შუა საუკუნეებში ბოდბის ტაძარში კახთა მეფეები იკურთხებოდნენ. მონასტერი დაარბია შაჰ-აბას I-მა, რომელიც შემდგომ თეიმურაზ I-ის ძალისხმევით აღდგა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცნობილმა ჰაგიოგრაფმა და ხატმწერმა მიხეილ საბინინმა წმინდა ნინოს საფლავის ძველი ქვა მარმარილოს ლუსკუმით შეცვალა. მანვე შეამზადა ნიადაგი დედათა მონასტრის გასახსნელად. 1889 წელს ამ ადგილს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ეწვია. სწორედ მისი ბრძანებით გაიხსნა დედათა მონასტერი.

## მართლმადიდებლობა

1924 წელს კომუნისტებმა მონასტერი დახურეს.

### წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებული წყარო

**წმინდა** ნინოს ლოცვით აღმოცენებული წყარო თავდაპირველად მონასტრის ეზოში ამოდიოდა. კომუნისტების დროს, როცა მონასტერი საავადმყოფოდ გადაკეთდა, წმინდა წყაროს წყალს სარეცხად იყენებდნენ. ამის შემდეგ იგი დაკარგულა და მონასტრიდან 1-2 კილომეტრზე, ხეობაში ამოსულა. ეს სცოდნია მოგვიანებით უკვე დახურულ მონასტერში არაოფიციალურად მცხოვრებ რუს მონაზვნებს, ჩადიოდნენ ხოლმე ხეობაში და განიბანებოდნენ. სწორედ მათი გადმოცემით გახდა ცნობილი ხეობაში წყაროს არსებობა.

### ფოკა

**იმ** წმინდა ადგილს, სადაც წმინდა ნინომ პირველად დაადგა ფეხი საქართველოში და ჩვენება ჰქონდა, ფოკა ეწოდა. იგი ზემო ჯავახეთში, საქართველოს ყველაზე დიდი ტბის – ფარავნის პირას მდებარეობს.

საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობის და მიცვალების ადგილებში ოდითგანვე არსებობდნენ მონასტრები, ხოლო მისი შემოსვლის ადგილი ულოცველად იყო მიტოვებული. ამიტომ უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, 1989 წელს დაარსდა ფოკის წმინდა ნინოს მამათა, ხოლო 1992 წელს – ფოკის წმინდა ნინოს დედათა მონასტრები.

**წმინდა ნინოს მადლი შეგვეწიოს ჩვენ და სრულიად საქართველოს.**

---

საძიებო

# საიდან გაჩნდა მითი წმინდა ნინოს კუხეთის დაბა ბოდიდან ქიზიყის დაბა ბოდბეში გადასვენების შესახებ?

**როცა** ვახუშტი ბაგრატიონი წერდა თავის ისტორიულ შრომებს XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის შუა წლებში, საქართველო პოლიტიკურ კრიზისში იმყოფებოდა. ამიტომ ვახუშტი მოკლებული იყო შესაძლებლობას თავისი ფეხით მოევლო დაქუცმაცებული საქართველო, ამიტომ ზოგიერთი კუთხის თუ ისტორიული ძეგლის დახასიათებისას სარგებლობდა სხვისი ნაამბობით. ის კი არა და, კახეთის ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთის დახასიათებისას ისეთ ლაფსუსებს უშვებდა, რაც არ ეპატიება. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის მოვიყვან თვითონ ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის საეპისკოპოსო კათედრალის დახასიათებას. დიდი ისტორიკოსი ვახუშტი წერს:

„არს ბოდბის ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მშვენიერი“. ვისაც ბოდბის საკათედრო ეკლესია უნახია საკუთარი თვალით, დამემოწმება, რომ აღნიშნული ტაძრის ასეთი დახასიათება არ მიესადაგება ტაძრის დახასიათებას , ვინაიდან ეს ტაძარი არც დიდშენია, არც გუმბათიანი და არც მშვენიერი, იგი წარმოადგენს ჩვეულებრივ ბაზილიკას.

ვახუშტი ბაგრატიონი აგრძელებს რა ბოდბის მიდამოების გეოგრაფიულ აღწერას, უშვებს ელემენტარულ შეცდომებს, რაც გამოიყენეს მისი შრომების გადამწერებმა და მის შეცდომებს მიუმატეს თავისი შეცდომებიც. აი, მაგალითი: ვახუშტი ბაგრატიონის შრომების გადამწერმა ვინმე დავით ინაშვილმა 1816 წელს ასე „ჩაასწორა“ ვახუშტი ბაგრატიონის შეცდომა:

„ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბისხევი, პირველწოდებული ბოდა, გამომდინარე ცივი მთისა მოდის ჩრდილოდან სამხრით და ვერ მდინარობს ველსა ზედა სიმცირით. ამ ხევზედა არის ბოდბეს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მშვენიერი. აქ მიიცვალა წმინდა ნინო. დაეფლა აქვე, აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია მეფემან ბაქარ“ (იხ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსი, 1941წ. გვ.97).

მსგავსი შეცდომები სხვაც მრავალია, რამაც გამოიწვია თუნდაც ის გაუგებრობანი, რაც მე პირადად, როგორც ისტორიკოსმა აღმოვაჩინე.

***

ვახუშტი ბაგრატიონს თავის ფუნდამენტურ ისტორიულ გამოკვლევაში, სადაც ეხება წმინდა ნინოს ნეშტის განსასვენებელი ადგილის განსაზღვრას „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართლის ცხოვრების“ უტყუარი ცნობების საწინააღმდეგოდ, სადაც წმინდა ნეშტის განსასვენებელ ადგილად ეს წყარო კუხეთის დაბა ბოდს (თანამედროვე ნინოწმინდას) ასახელებს, ამის საწინააღმდეგოდ ვახუშტი თავის ნაწარმოებში... ასახელებს ჰერეთის და არა კუხეთის ბოდეს.

მოგვყავს სრული ამონარიდი „ქართლის ცხოვრების“ IV ტომი, გვ. 93-დან:

„...როცა წმინდა ნინომ მოვლო მთიულეთი, ერწო-თიანეთი და მოაქცია ისინი ქრისტიანობაზე... შემდგომად ამისა წმინდა ნინო წარემართა რანს... მოქცევად ფეროზისა და მივიდა დაბასა ბოდს“ (ე.ი. ნინოწმინდას – ა.ე.).

აქ ვახუშტი არ წერს, სად, რომელ მხარეში მდებარეობდა დაბა ბოდი. განვაგრძობთ ვახუშტის ტექსტს: „... მაშინ მუნ მყოფი დასნეულდა წმინდა ნინო და ვითარცა ესმა ესე ძესა რევს და დედოფალსა სალომეს აცნობეს მეფესა, ხოლო წარმოავლინა მეფემან ეპისკოპოსი იოანე, რათა წარმოიყვანოს მცხეთას, ესე არ ინება წმინდამან ნინო და ვითარცა ესმა ძესა მეფისასა რევს და დედოფალსა სალომეს... ამის შემდეგ აღწერილია წმინდა ნინოს ანდერძი დაბა ბოდში მისი დაკრძალვის შესახებ... ისტორიკოსი ვახუშტი თითქოს განგებ არ ასახელებს დაბა ბოდის ადგილმდებარეობას, რათა იგი ბოდბესთან გააიგივოს, ამიტომ როდესაც წმ. ნინო თავისი ანდერძის მიხედვით კუხეთის დაბა ბოდში (ნინოწმინდაში) დაკრძალეს დიდი ისტორიკოსი ვახუშტი წერს: „... ვინაითგან თქვა წმინდასა ნინოს ბოდას“.

(წყარო იხილეთ ვახუშტის „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV. გვერდი 94)

*ალ. ელერდაშვილი,*

***საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ისტორიკოსი***

## ნინოები

**ეს** გოგონები საგარეჯოელები არიან. სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათ საერთო ბევრი რამ აქვთ – ყველას ნინო ჰქვია. კარგად სწავლობენ, გამოირჩევიან სანიმუშო ყოფა-ქცევით, ცდილობენ გაამართლონ ის სახელი, რომელიც მათ ჰქვიათ. დიახ, ამაყობენ, რომ ქართველებად, მართლმადიდებლებად დაიბადნენ და სწორედ საქართველოში ქრისტიანობის შემომტანი წმინდანის სახელი ჰქვიათ. ძალიან უყვართ 27 იანვარი, ნამდვილი „ნინოობა“, რომელსაც მათთან ერთად სრულიად საქართველო ზეიმობს და უხარიათ და ეამაყებატ, რომ წმინდა ნინოს ნატერფალებზე ცხოვრობენ. ამ დღეს აუცილებლად მიდიან ნინოწმინდაში, თავიანთი პატარა თითებით ანთებენ სანთლებს და უფალს და წმინდა ნინოს საქართველოს მფარველობას სთხოვენ. უფალმა უსმინოს მათ სათხოვარს, ჰფარავდეთ წმინდა ნინოს მადლი!



**ნინო რევაზიშვილი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე;



**ნინო გოდერძიშვილი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე.



**ნინო გაბროშვილი** – – საგარეჯოს I საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე;



**ნინო ბუზარიაშვილი** – საგარეჯოს III საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე;



**ნინო ადუაშვილი** – – საგარეჯოს I საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე;



**ნინო ყორღანაშვილი** – საგარეჯოს IV საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე.



**ნინო ჩალათაშვილი** – – საგარეჯოს I საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე;

# „რაც დავიწყებით არ იბინდება"

## ჩვენი თანამოქალაქე, რომელიც დააკლდა ქალაქს



**ის** მხოლოდ საგარეჯოს მასწავლებელთა საზოგადოებას არ დაჰკლებია, ის ჩვენც, ყველას, ყველა საგარეჯოელს დაგვაკლდა – თავისი ადამიანთმოყვარეობით, სულის სისპეტაკით, უღალატო მეგობრობით და ნამდვილ მოქალაქეობით. დიახ, თინა გრატიაშვილი, ჩვენი თანამოქალაქე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც შესისხლხორცებული ჰქონდა თავისი მოვალეობა არა მარტო ოჯახისა და პროფესიის, კოლეგების მიმართ, არამედ თითოეული თანამოქალაქის მიმართაც – მოზომილი, გაწონასწორებული, თავაზიანი, მოკრძალებული, ყურადღებიანი თითოეული ჩვენგანისათვის მისაბაძიც იყო და გარკვეულ მოკრძალებასაც „გვკარნახობდა" თითქოს. დადიოდა საგარეჯოს ქუჩებში – სიყვარულის ხიდიდან ჩამოუყვებოდა სტალინის ქუჩას, შემდეგ დავით აღმაშენებლის ქუჩას და მოკრძალებით შედიოდა იმ სკოლის ეზოში, რომელიც მისთვის სკოლა კი არა, ტაძარი იყო. დიახ, ტაძარი, რადგან სწორედ ის სკოლა – ქალაქის პირველი საშუალო სკოლა იყო მისთვის მშობლიური. ამ კედლებში გაირბინა მისმა ბავშვობამ, აქ ატარებდა თავისი ცხოვრების წლებს და ამ სკოლაშივე გაიზარდნენ მისი ნინო და დათო... საქმიანი, დაფიქრებული სახით იცოდა სიარული – ოდნავ, ლამაზად აჩქარებული, მაგრამ მაინც ბოლომდე ქალური კდემამოსილებით, ქალური მოკრძალებით, ისე, რომ არ შემჩნეოდა აჩქარება. იქნებ არც არასოდეს ეჩქარებოდა, მაგრამ წლობით გამომუშავებული ჩვევა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა – დიახ, ეჩქარებოდა, უხვად გაეცა სითბო, სიყვარული, სიკეთე, ეჩქარებოდა ყველას მოფერება, რადგან თურმე მალე დატოვებდა საწუთროს, ოჯახს და მისთვის საყვარელ საგარეჯოელებს...

დიდხანს არ უავადმყოფია, ჯერ დანებებას არ აპირებდა, შემდეგ კი, როგორც ღირსეულ მართლმადიდებელ ქრისტიანს შეეფერება, სწორედ ისე მოემზადა იმ ქვეყანაში გადასასვლელად და ამითაც მაგალითი გვაჩვენა – უპრეტენზიოდ, პირუჩუმრად, მორჩილებით, ლოცვით...

გააცილა საგარეჯომ თავისი ღირსეული შვილი, გულში ჩაიკრა მშობლიურმა მიწამ, სალბუნად დაედო მის გაუსაძლის ტკივილებს...

25 დეკემბრიდან, მისი ჩამზევების დღიდან ვერ მოისვენეს მისმა სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგების დახმარებით 21 იანვარს სკოლის კედლებშიც მოუწყეს თინა მასწავლებელს გამოსამშვიდობებელი საღამო. დარბაზში თინა მასწავლებლის კოლეგები, აღსაზრდელები, მოსწავლეთა მშობლები, მისი მოსწავლეები და ოჯახის წევრები მოიწვიეს...

ამ დარბაზს ამდენი ცრემლი არ ახსოვს ალბათ...

ყელში მობჯენილი პატარ-პატარა ბურთები შეაკავეს მისმა მოსწავლეებმა, თვალებიდან ცრემლებს გადმოსვლის უფლება არ მისცეს და კიდევ ერთხელ გვახსენებდნენ თინა გრატიაშვილის მიერ გავლილ გზას – ლამაზსა და ჩვენგან, აქ დარჩენილთაგან „თეთრი შურით" შესაშურებელს.ეკრანზე თინას სურათები ჩნდებოდა, მოკრძალებით, სითბოთი სავსე სახით რომ იდგა მოსწავლეებთან, კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან, მაგრამ სევდიანი, დაფიქრებული თვალებით... ასეთი იყო თინა – სევდისფერი თვალებით – მას ხომ ახალგაზრდობაჩაშხამებული ძმის დარდი იმქვეყნადაც გაჰყვა.

თინასთან გატარებული პროფესიული წლები გაიხსენეს მისმა კოლეგებმა ნელი ქაიხოსროშვილმა, ნაირა გურგენიშვილმა, თამარ კაკუტაშვილმა, ლეილა შეყილაძემ, საგარეჯოს რესურსცენტრის დირექტორმა მანანა ცუცქირიძემ, თინას ბავშვობის მეგობარმა, მეზობელმა და თანაკლასელმა ექიმმა-პედიატრმა თინა ქარსაულიძემ, რომელმაც გაიხსენა თავიანთი ბავშვობის წლები.

დარბაზში ზოგჯერ თავშეუკავებელი ტირილიც ისმოდა, მაგრამ სიცოცხლე რომ გრძელდება ამას თინას პატარა შვილიშვილი – ვახო შეგვახსენებდა, რომელიც ეკრანზე თინას ახალ-ახალი სურათების გამოჩენას სიხარულით ხვდებოდა. დიახ, სიცოცხლე გრძლდება, რადგან თინას უფროს შვილიშვილს, მის მოსახელეს არასოდეს დაავიწყდება ბებოს მიერ ნასწავლი ლექსები და ვერც ანასტასია და ვახუნა დაივიწყებენ, რადგან მათი ბებო საგარეჯოელებს ყოველთვის გვემახსოვრება – თეთრი, თეთრი სპეტაკი გულისპირით, აჩქარებული, მოზომილი ნაბიჯებით საგარეჯოს ქუჩებში მოსიარულე, თბილი სალმითა და გულიანი მოკითხვით.

28 იანვარს 40 დღე გავიდა თინიკო!

*თინა ილაური*

* * *

**დაიბადა** 1954 წლის 8 აპრილს. მარიამ და ივანე გრატიაშვილებს გაუხარდათ გოგონას დაბადება – პირველი ვაჟი უკვე 8 წლისა იყო და სურვილიც აუსრულდათ.

ბავშვობამ ჩვეულებისამებრ გაიარა – თამაში თანატოლებთან, სეირნობა სათავეში, თვალთხევის ადიდებული წყლის ჩაცხრობის შემდეგ კალაპოტში ლამაზი კენჭების შეგროვება და საღამოს დედის მიერ წაკითხული რომელიმე ლამაზი ზღაპრის მოსმენა და ბავშვური ოცნებები... ხან ლამაზი და კეთილი მეფის ასული იყო, ხან კონკია და ხან რომელიმე ზღაპრის გმირად წარმოიდგენდა თავს.

შვიდი წლისა საგარეჯოს საშუალო სკოლაში შეიყვანეს. „ისე სწრაფად განვლო ათმა წელმა, ვერც კი გავიგეო", ხშირად იტყოდა ხოლმე. სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, მეგობრებთან ურთიერთობაში ჩაიარა ყველაზე ლამაზმა ხანამ – მოსწავლეობამ. კარგად სწავლობდა, მეგობრების საუკეთესო დამხმარე იყო. ბევრი გაჭირვებული მეგობრისათვის ხელი ისე გაუმართია, ის ვერც მიმხვდარა ვინ მიეხმარა.

მის თაობას კარგად ახსოვს სასკოლო ფორმაში, თეთრ გეტრებსა და წითელ ყელსახვევში გამოპრანჭული ლამაზი თინა – ამავე სკოლის მებუფეტეს – დედას, ქალბატონ მარიამს სკოლაში რომ დაჰყავდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა გიორგიწმინდის სკოლაში დაიწყო. ორ წელიწადში კი თავის მშობლიურ სკოლაში გადმოვიდა. გიორგიწმინდელებს გული დასწყდათ. ახალგაზრდა მასწავლებელმა მარტო პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებში კი არა, მთელ სოფელში დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა. მალე თინას სიყვარული ეწვია და კარგ ახალგაზრდას – ვახო სამყურაშვილს დაუკავშირა ბედი, ოღონდ მშობლების ოჯახიდან ვერ წავიდა – ასაკიანი მშობლები ჰყავდა მოსავლელი და კიდევ – ძმა, რომელიც თინასთვის მოუშუშებელი იარა იყო. ახალგაზრდობაში, ვიღაცის დაუდევრობამ და არაკაცობამ ხეიბრად რომ აქცია. სად არ უმკურნალეს, მაგრამ... ბატონი ანდრო დღესაც ცოცხალია. თინას მისი დარდი სამარეშიც ჩაჰყვა.

თინას მეუღლე მშრომელი და პატიოსანი კაცი გამოდგა. ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობდა და ოჯახს არაფერს აკლებდა. მათ 2 შვილი ჰყავთ – დათო – თბილისის მერიის სამშენებლო განყოფილების თანამშრომელი და ნინო – ტელეარხ „რუსთავი -2"-ის მშვენიერი წამყვანი. თინას რძალთან დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა. მასთან ერთად თავს დასტრიალებდა თავის მოსახელეს ამჟამად მეოთხეკლასელ თიკას და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს – ანასტასიას და ვახოს.

აუღელვებელი, გაწონასწორებული იყო. ბავშვებს უტაქტოდ არასდროს მოგვმართავდა. ჩვენში ყოველთვის პიროვნებას ხედავდა. თუ ინგლისურს ვსწავლობდით, ამას თინა მასწავლებლის სიყვარულითაც ვაკეთებდით.

თინა მასწავლებელი კარგად მღეროდა. მოლხენაც იცოდა და ცეკვა-თამაშიც, იშვიათად თუ ვინმეს აწყენინებდა, მაგრამ თუ მაინც აწყენინებდა, შემდეგ დაფიქრდებოდა, გაანალიზებდა და თუ თავს რაღაც „შეცდომაში" დაიჭერდა, ბოდიშის თქმასაც არ ერიდებოდა. დაგვეთანხმებით, ეს ადამიანის საუკეთესო თვისებაა.

ახლაც თვალწინ გვიდგას – სკოლის დირექტორს დაეთხოვა, სუსტად ვარო, თავბრუ მეხვევა და თავს ცუდად ვგრძნობო და გაიხურა სკოლის კარები. ჩვენ, მისი მოსწავლეები, ფანჯრებთან ვიდექით, ვუყურებდით და ვერც კი ვგრძნობდით, ცრემლები როგორ მოგორავდა ჩვენს სახეზე. რა ვიცოდით, თურმე ეს მისი უკანასკნელი წასვლა იყო სკოლიდან. მანამდე იყო შეუპოვრობის, წინააღმდეგობის დაძლევისა და ოპტიმიზმის თვეები. გმირულად გაუძლო 4 საათიან ოპერაციას, ქიმიოთერაპიის კურსს, თურქეთის კლინიკაში მკურნალობას. ავ სენს ცნობილმა ექიმებმაც ვერაფერი უშველეს – თუ რაღაც შეეშალათ, რაღაც ვერ განსაზღვრეს და ბოლო დღეებში დამძიმდა მისი ჯანმრთელობა. ადრე თუ იმედიანი იყო, უკვე ხშირად გარდაცვალებასა და სხვა ღირებულებებზე საუბრობდა. ერთხელ კი თქვა: საშინელ სამსჯავროზე ღირსეულად უნდა წარვსდგეო და მოემზადა კიდეც. ამაში ოჯახიც ხელს უწყობდა.

მალე 40 დღე გავა (28 იანვარი). გვჯერა, რომ მისი სული სამოთხეში დაიდებს ბინას. ჩვენ კი, მისი ნამოწაფრები, ვერასოდეს დავივიწყებთ ჩვენზე მოამაგე და მზრუნველ თინა მასწავლებელს. უამრავი თაიგულებითა და ყვავილებით გავაცილეთ ჩვენ თინა მასწავლებელი. დასანანია, რომ ვერ განვახორციელეთ ის გეგმები, რაც ჩვენ სწავლაზე ჰქონდა. ჯერ კიდევ უამრავი რამ უნდა გვესწავლა მისგან მომავალ თაობას – ქართული და ინგლისური ენების სიყვარული, ინგლისელთა ტრადიციები და ინგლისელი მწერლები, გვემოგზაურა ლონდონის ქუჩებში და იმ სიყვარულითა და მზრუნველობით უნდა გვესარგებლა, რასაც ის ჩვენს მიმართ იჩენდა.

*საგარეჯოს I საჯარო სკოლის სადამრიგებლო VIII კლასის მოსწავლეები*

**ნაირა გურგენიშვილი** – ***საგარეჯოს I საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგი:*** – თინა გრატიაშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. თავდაპირველად ჩემი მეუღლე და თინას მეუღლის თანამშრომლობამ დაგვაახლოვა. შემდეგ საგარეჯოს I საჯარო სკოლაში მუშაობისას გავაგრძელეთ ჩვენი მეგობრობა. მისი შვილი ნინო სამყურაშვილი ჩემი მოსწავლე იყო. თინამ რამდენჯერმე მთხოვა, თუ რამე უჭირს მითხარიო, მაგრამ ნინო ძალიან ჭკვიანი, გონიერი ბავშვი იყო და არასოდეს მოითხოვდა გადამეტებულ ყურადღებას და მით უმეტეს დახმარებას.

თინა დიდი ტკივილით წავიდა ამ ქვეყნიდან თავისი ძმის ავადმყოფობის გამო. თინას ჩვენ ყოველთვის გავიხსენებთ და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

**თამარ კაკუტაშვილი** – ***მათემატიკის მასწავლებელი:*** – თინამ უზომო სევდა და დიდი მონატრება დაგვიტოვა. იყო კეთილი, თბილი, უზომოდ შეყვარებული დედა-შვილებზე, ბებია-შვილიშვილებზე, უღალატო მეგობრებსა და ნათესავებისთვის. იყო ენერგიული, შრომისმოყვარე, ყოველდღიურობაში ეჩქარებოდა, ცდილობდა ყველაფერი მოესწრო და არაფერი დარჩენოდა გასაკეთებელი. ყოველ წუთს მახსენდება მისი საუბარი, სიცილი, მისი არაჩვეულებრივი თვისებები. პირადად ჩემთვის მეგობარზე მეტი იყო, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს სიყვარულს, დარდს, ტკივილს. მიუხედავად დიდი გაუსაძლისი ტკივილებისა, ზრუნვას და მოფერებას არ გვაკლებდა. სიცოცხლესა და ოჯახზე უზომოდ შეყვარებულმა ღირსეულად განვლო თავისი სიცოცხლის გზა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძალიან ღრმა კვალს ტოვებენ ცხოვრებაში და რაც არ უნდა წარსულში დარჩნენ, მაინც მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ. ხანდახან წუთიერად მავიწყდება, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის, ველოდები, როდის დამირეკავს,ან კარზედ დამიკაკუნებს, მესტუმრება. დავსხდებით, ვისაუბრებთ სკოლაზე, ჩვენს შვილებსა და მეგობრებზე. მჯერა, რომ სათნოება, სიყვარული, განუზომელი სიკეთე და ჩვენთვის დატოვებული დიდი სითბო გაუნათებს სასუფევლის გზას.



## „ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას, რაც რომ ჩვენგანმა აკეთა"

### ნუგზარ ჭანტურია



**23 იანვარს** მას 89 წელი შეუსრულდებოდა. ვინც მას იცნობდა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხვედრის ბედნიერება, არასოდეს დაავიწყდება ბობოქარი, სიკეთით მადლმოსილი, ქართული სიტყვით აღზევებული კაცი, ვინც თავისი საქმიანობით და ნიჭიერებით წარუშლელი კვალი დააჩნია ჩვენი ქალაქის ცხოვრებას, კაცი, ვისი სახელის გახსენებაც სიამაყის და მადლიერების გრძნობით გვავსებს, ვინც იყო კოლორიტი ქართველობისა და თვითონ ქმნიდა კოლორიტს კაცურკაცობისას.

ეს კაცი ნუგზარ ჭანტურია იყო – საქართველოს თავისუფლებისთვის დახვრეტილი საგარეჯოს I საშუალო სკოლის I დირექტორის ტატო ჭანტურიას და ცნობილი პედაგოგის ელენე გოდერძიშვილის შთამომავალი. საკუთარი მხრებით ატარა ეპოქის ყველა ავბედობა: უმისამართო ცილისწამება, შურისძიება და ღირსებათა დასამარება. მაგრამ მაინც ვერ გაღუნეს, ვერ დააჩოქეს. დიდხანს ელოდა მაცოცხლებელი ჩქრების მოვარდნას, ირმების ჯოგისა და თავაწყვეტილი მერნების ჯირითს. წახვედი... ჩაიარა ელვარე დღეების ორომტრიალმა, სულში კი ტკივილიანი ნაპრალები დატოვა.

დარჩა სევდიანი მოგონება ლამაზ ადამიანზე, ნუგზარ ჭანტურიაზე და კიდევ... მისი მარადიულობით გაცისკროვნებული ლექსები...

***

შენს სიყვარულში ვინ შემეცილოს,
ვის ძალს ეს გრძნობა შემიტორტმანოს?!
დაგჭირდე? – მზად ვარ რომ შეგეწირო,
დაუფიქრებლად და უყოყმანოდ!
შენა ხარ ძარღვში სისხლის კივილი
და სიყვარულში ჩაუტევარი
ჩემი ოცნება, ჩემი ტკივილი,
ჩემი აღმართი და აღზევანი!
შენზე ფიქრები ჩქერად გადამდის,
შენს გზებზე რაღა არ მაქვს ნანახი,
შენი კრწანისის, შენი მარაბდის,
მე სისხლიანი ვძოვე ბალახი!
მესროლა შენმა ბერმა პაპამა,–
დაჭრილ ჯიხვივით კლდეზე ვქანაობ,
სიცოცხლის ნექტრად შემომაპარე,
შენი ლილე და იავნანაო!
შენ ხეკორძულას წყალი მარწყულე,
მერე მომსხიპე ოსტატს მარჯვენა,
წამიყვანე და სისხლად ჩამწურე
სურამის ციხის გადასარჩენად!
ჩემო სახლო და ჩემო მამულო –
გული საგულეს როგორ გაცივდეს?
მზადა ვარ მე შენს საწიწამუროდ
ოღონდ ყოველი ჭირი აგცილდეს.

### ღმერთო, ნუ მიწყენ

ნაშიერი ვარ გმირული ჯიშის,
მიყვარს გრძნობების ამქუხარება,
არა მჩვევია ძრწოლა და შიში,
ცრემლები, ოხვრა და მწუხარება.
ძარღვში მიღელავს სისხლი ველური,
დგაფუნობს როგორც ტალღა ზღვაური,
ცხოვრების გზა მაქვს აჯანყებული
და გრიგალებთან ვარ მოგზაური.
მიტაცებს წვიმით შენაშფოთები,
მდინარე მთებს რომ მოჰყეფს ღრიალით,
ილეწებიან ქარში ტოტები
და ცაზე გააქვთ ორბებს რიალი.
მიტაცებს, როცა მთვარე ჯიხვივით
მთად შედგება და ჩასცქერს ალაზანს,
შემოვარდნილი ტალღის ჭიხვინი
შემაჟრიალებს ტანში ანაზდად.
ცისკარი, მთებზე რომ ახელს თვალებს,
მიწა ყურს უგდებს ბორგვას ქარისას,
სამგორზე გდია ნახევარმთვარე –
გამტყდარი ფარი გორგასალისა.
ჩემი სამშობლო, ღვთისწილნაყარი,
მაჯადოებს და რარიგ მიტაცებს.
მისი სიცოცხლის მე ვარ მაყარი,
ამისთვის დავალ დედამიწაზე.
აქ ბალახიც კი ღმერთთან საუბრობს,
აქ სხვაა ბელტიც, მზეც და პიტალოც...
ღმერთო, ნუ მიწყენ – შენი საუფლო
ქართულ მიწაზე გადავიტანოთ.

### სადღეგრძელო

ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ ვინაც ვიცით
ყადრი და ფასი ქართული მიწის.
ვინც მამულისთვის იღწვის და იწვის,
ვინც სიყვარულში არ იცის დაღლა,
და ვისი სიტყვაც და ვისი ფიციც
ჰგავს მტრის გულმკერდზე ტყვიების დახლას!
ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ ვისაც მოგვდევს
წინაპრის სული, წინაპრის ეშხი,
და ვისაც ძალუძს ისე, რომ მოკვდეს,
არ გაიღუნოს აროდეს წელში!
ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ ერისკაცებს,
ჩვენს დიდ ოცნებებს, მიზნებს და სურვილს,
ჩვენ შეგვიძლია მუხლებზე დაგვცენ,
მაგრამ აგვაფრენს ამაყი სული!
ჩვენ გაგვიმარჯოს! ჩვენ, სახლიკაცებს
პატრონებს ერთი მიწის და ნისლის,
ვისაც ძარღვებში არ გვიჩქეფს არც ერთს
წვეთიც კი, გარდა ქართული სისხლის!
ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს ოჯახ-ფუძეს,
ჩვენი კაცობის გაზომილ ნაბიჯს,
ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს ქალსა თუ ძეს,
ვინაც უღელში არ ამტვრევს ტაბიკს!
ჩვენ გაგვიმარჯოს, ვინცა ვართ ყაბულს,
აღმა იბრუნოს ცხოვრების ჩარხმა,
ვინც დღენიადაგ აბრუნებს ყამირს
და მამა-პაპის საფლავებს არ ხნავს!
ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ, ვისაც მკერდზე
დიდი მომავლის გვასკდება ტალღა
გვეჭიროს ხელში, ჩვენ ამას შევძლებთ,
ქართული დროშა ყველაზე მაღლა.
ჩვენ გაგვიმარჯოს! ჩვენ გაგვიმარჯოს!
ზეცამ ქართულმა მარად იმარჯნოს,
პურმა იპუროს, ღვინომ იმაჭროს,
მამულმა ჩვენი ნიჭი იაბჯროს,
სამშობლომ თავის ციხე-გალავანს
ჩვენი მარჯვენა ლიბოდ მიაჭდოს,
ჩვენ გაგვიმარჯოს!

## ნათლისღების სასწაული

# როცა რწმენით ხარ



**ნეოკესარიის** კრების მეექვსე კანონის მიხედვით „ფეხმძიმე უნდა მოინათლოს მაშინ, როდესაც მოისურვებს. ამ დროს ინათლება დედა და არა მისი ნაყოფი მისი მეშვეობით, ვინაიდან ქრისტესთან შეერთების სურვილი მოსანათლმა თავისი ნებით უნდა გამოამჟღავნოს“...

მართლმადიდებელ ეკლესიაში შვიდი საიდუმლოდან ნათლობას პირველი ადგილი უჭირავს, რადგან იგია კარი ეკლესიაში შესასვლელად ,ნაბიჯი – ღვთიური მადლით ახალ ადამიანად გარდაქმნისა. მირონცხება კი – ახლადგანათლებული ადამიანის ახალშობილ სულზე ღვთის მადლის საზრდოდ გადმოსვლა ამ სულისა...

ქრისტიანული ოჯახის უმეტესობა ახლადდაბადებულ შვილს 8 ან 40 დღისას ნათლავს – თავისი მფარველი ანგელოზი აქედანვე ჰყავდესო, ნათლიებსაც თავად მშობლები ურჩევენ. ნაწილი მშობლებისა კი ფიქრობს – გაიზარდოს, თავად აირჩიოს ნათლია, რომელმაც შემდეგ მშობლებთან ერთად მისი ქრისტიანულად აღზრდისათვის უნდა იზრუნოსო...

სწორედ ასე ფიქრობდნენ რომანის მშობლებიც. რომანის უფროსი ძმები იქ, აჭარის მაღალმთიან რაიონში, ხულოში მოინათლნენ. მათი ნათლია თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღმოჩნდა, რომელმაც იმ ხანებში უამრავი ადამიანი თავად მონათლა... წლები გავიდა...

რომანი კი, როცა სურმანიძეების გვარის უმეტესობა საგარეჯოს რაიონში ეკომიგრანტებად ჩამოსახლდნენ, უკვე 7 წლის იყო. მალე მათ ჩამოსახლებას პოლიტიკურ-ეკონომიკური გასაჭირი დაემთხვა და ალბათ უფლის ნება ცოტა სხვანაირად იყო გამიზნული...

რომანი 28 წლის იყო, როცა ექიმებმა ყველასათვის თავზარდამცემი დიაგნოზი დაუსვეს – თავის ტვინის ანევრიზმა. სულ ორიოდე თვეში ნელ-ნელა შეეზღუდა მოძრაობის უნარი, მაგრამ რაც მთავარია, აზროვნება ჰქონდა რაღაც საოცარი მექანიზმით მართული. იცოდა, რომ არ უნდა დანებებოდა ამ დიაგნოზს, მაგრამ... მოსკოვში უარი თქვეს ოპერაციაზე მედიკოსებმა, იაპონიაში 200000 ევროდ ფასობდა ოპერაცია. ისევ თბილისელი ექიმების გამოცდილებას და პროფესიონალიზმს უნდა დაყრდნობოდნენ. მაგრამ ეს, ექიმებიც რომ ვერ რისკავდნენ ბოლომდე?! მაგრამ, მშობლებს არც ერთი წუთი არ შეჰპარვიათ ეჭვი მათ პროფესიონალიზმზე. დაინიშნა დღე და საათიც, მაგრამ... დილის 11 საათზე დანიშნული ოპერაცია გაუქმდა. სულ 1 საათით ადრე საოპერაციო ტექნიკური მოწყობილობის ისეთი შემადგენელი ნაწილი დაზიანდა, რომლის გარეშეც ექიმი ვერაფერს გააკეთებდა. ექიმი სპეციალისტების ახსნით, ამერიკიდან აპარატურის ნაწილის ჩამოსვლას დრო სჭირდებოდა. რომანი საერთოდ ვერ მოძრაობდა – სხეულის მარცხენა მხარე, ორივე კიდური პარალიზებული იყო, მეტყველებაც უჭირდა, მაგრამ ოჯახის წევრებს და ახლობლებს სთხოვა, მომნათლეთ, მღვდელი სახლში მოიყვანეთო. ადრევე ჰყავდა ნათლიაც შერჩეული და 28 წლის რომანი მოინათლა. ერთ კვირაში კი 29 წელიც შეუსრულდა. 30 ნოემბერს, პირველი ოპერაციის დანიშვნიდან 29-ე დღეს საოპერაციო სრულ წესრიგში აღმოჩნდა და 1 დეკემბერს ოპერაციაც დაინიშნა. ღელავდა ყველა, რადგან ოპერაციის გაკეთება მხოლოდ ნეიროქირურგებმა გოგი მაღალაშვილმა და დათო გუნიამ გარისკეს. ამ ოპერაციას მედიცინაში ენდოვარსკვლავურ ოპერაციად იხსენიებენ და ოპერაციებს შორის ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციად ითვლება.

ოპერაციის შემდეგაც და მანამდეც მშობლებს და რომანის მეუღლეს აუხსნეს, რომ რომანს დიდი ხნის სარეაბილიტაციო დრო და ვარჯიში დასჭირდებოდა, რომ მას 15-20% მაინც დარჩებოდა პარალიზება კიდურებზე და მხოლოდ 8 თვის შემდეგ თუ გაივლიდა დამოუკიდებლად ფეხზე. მაგრამ ღვთის წყალობითა და შემწეობით, ყველა სირთულე რომანმა 3 თვეში გადალახა და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ხუთ თვეში ნინოწმინდის ფეხბურთის სტადიონზე ფეხბურთს თამაშობდა. ასე, რომ მარცხენა მხარის ორივე კიდურს სიცოცხლის და თავისი ფუნქციის შესრულების უნარი დაუბრუნდა.

რომანი დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელია სივრცითი მოწყობის საკითხებში.

უკან დარჩა განსაცდელები, მოლოდინში გასული დღეები, თვეები... მაშინ რომანს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა, ახლა უკვე ორი ვაჟის – დავითისა და ოთოს მამაა და ღრმად სწამს – ნათლისღებით მას თავისი მფარველი ანგელოზი მოევლინა, რომლის დახმარებითაც ყველა სირთულე დაიძლია. ახლახანს კი, 19 იანვარს, ნათლისღების დღეს მათი ოჯახიდან კიდევ ერთი სურმანიძე შეემატა პატრიარქის ნათლულთა დიდ, გრძელ სიას – ამ დღეს რომანის ძმისშვილი, მშობლებისათვის რიგით მესამე შვილი მართლმადიდებელი გახდა... ყველაფერი ჯერ წინ არის, რომანის პატარა ჯერ ხუთი თვისაა, მას ალბათ სხვა და-ძმებიც შეემატებიან პატრიარქის ნათლულებად და მართლმადიდებელ ქრისტიანებად.

---

ქველმოქმედება

## მათ სიხარული მიუტანეს

**თოჯინების** თეატრის „ძალა ერთობაშია“ თეატრალური დასის წევრები საგარეჯოელი სკოლამდელი აღზრდს დაწესებულების აღსაზრდელთათვის კარგად ნაცნობი ადამიანები არიან. მათ არაერთხელ გაუხარეს თავიანთი სპექტაკლებით ჩვენს პატარებს გული. ისინი თბილისელები არიან. მათი ხელმძღვანელი ნაირა ჯავახიშვილი ყველანაირად ცდილობს პაწაწების გულის გახარებას, მათთვის ერთი დღის საინტერესოდ და შინაარსიანად გატარებას. მაგრამ 14 იანვარს ქ-ნი ნაირა სულ სხვა „პროგრამით“ წარსდგა ისეთი ბავშვების წინაშე, რომლებიც ამ ბოლო დროს ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ – მათ ჩვენ თითქოს უბრალოდ, მაგრამ ჩვენთვის მტკივნეული სახელით – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებად მოვიხსენიებთ...

ქალბატონმა ნაირამ თავის დასთან ერთად საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №5-ში სპექტაკლი „ზარმაცი კიკო“ წარმოადგინა და სწორედ აქ შეიტყო, რომ ამავე შენობაში აიპ „მზე სწორად მოეფინების“ აღსაზრდელებიც იყვნენ – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. ქალბატონი ნაირა თოვლის პაპასთან ერთად 14 იანვარს მათ ოჯახებში ესტუმრა – უამრავი ნუგბარით, ტკბილეულით, საჩუქრებით დატვირთული. მაგრამ, მას მხოლოდ ბავშვები არ გაუხარებია, ქ-ნმა ნაირამ ბავშვების დედებზეც იზრუნა და მათ საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის სარეცხი საშუალებები და სხვადასხვა საგნები ჩამოუტანათ.

---

## 140-ე სეზონი და ქართული თეატრის დღე ხარაგაულში

**საგარეჯოს** მიხეილ ჭიაურელის სახელობის თეატრის მსახიობებმა ქართული თეატრის დღე – 14 იანვარი ხარაგაულში გასვლითი სპექტაკლით აღნიშნეს, სადაც იქაური თეატრალების მიწვევით იმყოფებოდნენ.

ხარაგაულის სახალხო თეატრის სცენაზე საგარეჯოელი მსახიობების ამ მიწვევის მიზეზი გახდა ის მეგობრობა, რომელიც ამ ორ თეატრს შორის 2013 წელს დამყარდა – ხარაგაულის სახალხო თეატრის მსახიობის, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ გორანის მკვიდრის, ცნობილი სახალხო მთქმელის ღვთისო წიკლაურის ვაჟის ნიკო წიკლაურის მეშვეობით. მაშინ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა საგარეჯოელ მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლი „თანამდევი სული“ (სპექტაკლის ავტორი და რეჟისორი ი. ჩხეიძე). ამჯერად კი საგარეჯოელი მსახიობები საპასუხო ვიზიტით იქაური მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სპექტაკლით „სისტემა“, რომლის სცენარი და რეჟისურა ეკუთვნის თეატრის რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილს.

139 წლოვანი საგარეჯოს სახალხო თეატრისათვის, რომელიც 1876 წელს დაარსდა, ეს იყო 140-ე სეზონის გახსნა, რისთვისაც ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ როგორც მსახიობებს, ისე მის ხელმძღვანელს. ამიტომაც იყო, რომ იგი დიდი მოწონებით აღიქვა იქაურმა მაყურებელმა და სცენის მოყვარულებმა. ხარაგაულში საგარეჯოელი მსახიობების ამ წარმატებულმა გამოსვლამ გამოხმაურება ადგილობრივ პრესაშიც მოიპოვა, სადაც აღინიშნა საგარეჯოელი თეატრალების მაღალი პროფესიონალიზმი და საშემსრულებლო ოსტატობა. „სისტემა“ არაჩვეულებრივი სპექტაკლია მოხუცებულთა თავშესაფარში მყოფთა სევდიანი ისტორიებით. „სისტემა“ პროტესტია თავშესაფრის, რომელიც არ იცვლება, პროტესტი მანკიერი რელობისადმი.



ადამიანის მუდმივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ბრძოლა ღირსებისათვის და ზნეობრივი გმირის კათარზისი. ეს გახლდათ სპექტაკლის მთავარი სათქმელი. ცალკე აღსანიშნავია მსახიობთა მაღალი პროფესიონალიზმი და ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობა, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება. ხარაგაულელმა მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად და ემოციურად მიიღო, დიდხანს არ ცხრებოდა ტაში და ოვაცია. ხარაგაულის კულტურის ცენტრის დირექტორმა ვასილ კიკნაძემ, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და მსახიობმა ლუიზა კიკნაძემ მადლობა გადაუხადეს საგარეჯოს თეატრს და მის შესანიშნავ დასს ხარაგაულში სტუმრობისათვის და ამ შესანიშნავი სანახაობისათვის. „ორი თეატრის მეგობრობა მომავალში კიდევ მრავალ ლამაზ დღეს მიითვლის“ – ვკითხულობთ გაზეთში. ეს საქებარი სიტყვები და მადლიერება შედეგია საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობების: პაატა ქვლივიძის, ბადრი დრეიძის, გიორგი ესაიაშვილის, მიხეილ ხოკერაშვილის, ირაკლი ლიპარტელიანის, ბესიკ ღვინაშვილის, შაკო ივანიაშვილის, ფატი ღვინაშვილის, მარიამ შიოშვილის, თინათინ მეზვრიშვილის, ნანული ბილანიშვილის, ნათელა დიღმელაშვილის, დარეჯან ლოლაძის, დამდგმელი რეჟისორისა და მუსიკალური გამფორმებლის ნიკოლოზ საბაშვილის, მხატვრის თამარ იორამაშვილის, მარიამ შიოშვილის, ივანე თოლომაშვილის და მათი ხელმძღვანელობის იმ დიდი მოწადინებისა, რაც მათ ერთობლივად ამ სპექტაკლის მომზადებაში ჩააქსოვეს.

საგარეჯოში დაბრუნების შემდეგ ჩვენთან საგარეჯოს კულტურის ობიექტების გართიანების დირექტორმა ბესიკ ღვინაშვილმა აღნიშნა ის ყურადღება, რაც მსახიობების მიმართ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, პირადად გამგებელმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა გამოიჩინეს, რომლებიც სპექტაკლის მთელი მსვლელობისას არ მოშორებიან მათ, წარმოდგენის შემდეგ კი ბანკეტიც გაუმართეს. ამისათვის ისინი დიდ მადლობას უხდიან მასპინძლებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა დავეთანხმოთ სპექტაკლზე იქაური პრესის გამოხმაურებებს, რომ ეს მეგობრობა ორ თეატრს შორის მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ მრავალ ლამაზ დღეს აჩუქებს, როგორც ჩვენებურ, ისე ხარაგაულელ მაყურებელს.

*გ. დაბახიშვილი*

---

სპორტი

## სამომავლო წარმატებებისათვის

**16-18 იანვარს** ქ. თბილისში გამართულ 23 წლამდე ასაკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ასპარეზობაში საგარეჯოელი მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. გამარჯვებისათვის ბრძოლაში თავის მოწინააღმდეგეებს ტოლი არ დაუდო **ზურაბ ერბოწონაშვილმა** და ნახევარფინალში ევროპისა და მსოფლიო პრიზიორს აშკარა უპირატესობით სძლია, ხოლო ფინალში ევროპის პრიზიორს გ. გიგაშვილს ანგარიშით 10:0 სძლია და 74 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა I ადგილი. ამ გამარჯვებით ზურაბ ერბოწონაშვილმა მოიპოვა ევროპის და მსოფლიოს პირველობაზე მონაწილეობის მიღების უფლება.



სასიხარულოა ისიც, რომ ამავე შეჯიბრებაზე 576 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა **თორნიკე ასრათაშვილმა.**

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შემდგომ წარმატებებს მწვრთნელთა თავდაუზოგავ მუშაობასთან ერთად კიდევაც შეუწყობს ხელს ის პირობები, რომლებიც ამ სტილის მოჭიდავეთა მეცადინეობებისთვისაა შექმნილი. მიმდინარე ზამთარს მათ აქვთ საშუალება მეცადინეობები, ვარჯიშები ჩაატარონ თბილ დარბაზში. დარბაზი, რომელიც საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის შენობაშია განთავსებული, წლების განმავლობაში ვერ თბებოდა. ამჟამად კი, იმ ქველმოქმედი ადამიანების მიერ, რომელთაც გარკვეული თანხები გაიღეს და დღეს დარბაზი თბება, სხვა დროსაც არ დაჰკლებიათ ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენებს დახმარება და თანადგომა. ჩვენი გაერთიანების სპორტსმენთა სახელით მადლობას ვუხდით გივი ონაშვილს, ტარიელ როსტომაშვილს, ზაზა გულიკაშვილს, გოგი მეკოკიშვილს, გია მარხვაშვილს, მერაბ ჭიაურელს, თამაზ გეგეშიძეს, გიზო როჭიკაშვილს, გია ბედიაშვილს, პაატა პასიკაშვილს. უფალმა დალოცოს მათი ოჯახები.

***აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება***

## ხსოვნა

# გია კირაკოზაშვილი



**ჩემო** ძვირფასო შვილო გია, ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო დარდო, სევდავ და იარავ. 9 თებერვალს 40 წლის გახდები აქ, ჩვენთან, შენს ოჯახში – ცოლ-შვილის, დედის, დების, ახლობლებისა და მეგობრების გულებში. ზოგიერთების უპასუხისმგებლო, გაუაზრებელმა საქციელმა 33 წლის ასაკში დაგატოვებინა წუთისოფელი და მხოლოდ 33 დაბადების დღე გაკმარა.

დიდი სიხარული და ბედნიერება წარმოუდგენელი ტკივილითა და ტანჯვით შემიცვალეს. იქ დამთავრდა ყველაფერი, სადაც იწყებოდა, ჩაიფერფლა ჩვენი ოცნებები და ნათელი მომავალი.

შვილო, მეშვიდე დაბადების დღის, მწარე მონატრების ბარათს გიგზავნი ზეციურ საქართველოში!

შვილო, ძალიან ძნელია უშუქობის 9 თებერვალი, რომელიც მეშვიდედ შეგვკრებს ყველას, ქვაში გაცოცხლებულ შენს სურათთან, შენდობის შემოსათვლელად. აქ წელიწადის ნებისმიერ დროს უამრავი სანთელი იწვის – შენი უკვდავი სულის მოსახსენიებლად, ყველას ახსოვხარ და ენატრები.

შვილო, სანამ გული გაუძლებს, შენს კერას და სანთელს არ ჩაგიქრობ, ყოველ წუთს. ფიქრით მაინც ვიქნები შენთან და არ დაგტოვებ მარტოს, მშვიდად იძინე იქ, „სადაც არ არის ჭირი და მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“. ამინ.

ჩემო უძვირფასესო შვილო, 33 წლის ასაკში გადაინაცვლე მარადისობაში და მარადიულია შენი საიუბილეო საჩუქარიც.

ეს ბარათი, მარტოხელა, შვილმკვდარი დედის კივილია, რომელიც, რომ დადის, ყოველ წამს შენ უდგეხარ თვალწინ, შენს საყვარელ სიმღერებში ხედავს შენს თავს.

შვილო, დაბადების 40-ე წლისთავზე მინდა მოგიძღვნა მორის ფოცხიშვილის ლექსი, რომელსაც თავისებური მანერებით მღეროდი ძალიან ხშირად (ხან სიმღერა ზოგჯერ ცრემლზე მწარეა)

მინდორში ბალანაშლილი
თეთრი სეტერი ქრის,
მწყერი ბალახში წრიალებს
აფრინდება და ფრი!
ვიდრე მიწაზე დავდივარ
ყველა სიამეს მგვრის,
აფრინდება და ვაი, მე,
აფრინდება და ფრიი.
ტყვიაც იწივლებს შურისა,
დარდი მიმძიმებს წლებს,
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ესვრის მწყერს!
შავი საფანტი ირევა,
თეთრი სეტერი ქრის,
მე მაინც უნდა ავფრინდე,
ავფრინდები და ფრი!“

უფალმა სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს მდიდარ და ლამაზ სულს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლეზე თვალდარჩენილო და უდროოდ გულისცემაშეწყვეტილო შვილო, გიორგი!

*დედა*

***ნანი კირაკოზაშვილი***

# ვალერი ბეჟიაშვილი



**ათი** წლის წინ სოფელს ჭეშმარიტად ქართველი და მართლმადიდებელი ქრისტიანი დააკლდა. საშინელი ავტოკატასტროფის შემდეგ ულამაზესი, ჯანმრთელი და სოფლისათვის საამაყო შვილი დიდხანს ებრძოდა სიკვდილს, გიორგიწმინდა ფეხზე იდგა, სუნთქვაშეკრული. ელოდა დღე-ღამის, ღამე-დღის გასაყარს, ლოცულობდა, უფალს ევედრებოდა სამზეოს არ მოჰკლებოდა სანაქებო შვილი სოფელისა, რომელზედაც თავადაც უზომოდ იყო შეყვარებული, მაგრამ...

ავბედითი გამოდგა თებერვლის 9. ღამეჩატეხილი დღე ვიბრძოლეთ შენთან ერთად, მაგრამ, ვაი რომ საწუთრო შენთვის შეჩერდა, ჩვენთვის კი შენთან განშორების ჟამთა აღწერა დაიწყო. შენზე ფიქრის ჯაჭვი არ წყდება, შენი მონატრების სურვილი უფრო მწველი და ტკივილიანი ხდება. გვენატრები. გვენატრება შენი სითბო, ვაჟკაცური სულის შემოძახილი. მხოლოდ შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება ჩვენთვის ყოველი კალენდარული დღე.

ახსოვხარ ოჯახს, სანათესაოს, სოფელს, ნაცნობ-მეგობრებს და ნეტავი იცოდე, სულის როგორი ტკივილით დადის შენი ტყუპისცალი. ის შენთვის ლოცულობს, ვიცით, რომ შენ მისთვის იმქვეყნიდან ილოცებ – შენი სულის ნაწილისათვის. ღმერთმა ნათელში გამყოფოს. შენი თანასოფლელის ლექსით გაგიხსენებთ ახლა, მოვალთ შენს საფლავზე – წრფელი ცრემლით, სულის ტკივილით, შენი უზომო მონატრებით.

*ოჯახი*

***ვუძღვნი ვალერი ბეჟიაშვილის ხსოვნას!***

გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს სოფელს
და დაჯერება ყველას უჭირდა,
სოფელს მოაკლდა ერთი ვაჟკაცი,
გაფიქრებაც კი ყველას უმძიმდა.
რატომ გათენდა მაშინ ის დილა,
ვის რა მოგველის, ეს რომ ვიცოდეთ...
ან ის მანქანა საიდან გაჩნდა
რისთვის მოგისპო ვაჟკაცს სიცოცხლე.
დიდი წამების შემდეგ წახვედი
და უნუგეშოდ დატოვე ყველა.
როგორღა გაძლებს ახლა უშენოდ,
დარდს მიეცემა მშობელი დედა.
ყველა გიცნობდა, ყველას უყვარდი,
თქვენ უხდებოდით ერთმანეთს მეტად.
ახლა ტყუპისცალს რას ეუბნები,
აღარ იქნებით არასდროს ერთად.
შენ მიგვატოვე და საკაცეზე
მხოლოდ უსულო გვამი ესვენა,
სოფელს უყვარდი, მიტომ გიწოდეს
ზედმეტსახელად „კაცი ლეგენდა“.
ჩვენ ვეღარ განახავთ უკვე დღეიდან,
შენ აღარ მოხვალ ჩვენთან არასდროს,
მაგრამ სოფელი არ დაგივიწყებს,
მასთან დარჩები სამარადჟამოდ.

*ნათია მესროფოვი,*

***თანასოფლელი***

# მადლობა

**მანავის** ე.წ. „ბურდიანის უბანში“ 200-ზე მეტი კომლია. აქ წლების განმავლობაში უპატრონობით და მოუვლელობით მიწითა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ამოივსო სანიაღვრე არხი, რომლიდანაც გადმოსული წყალი ჩვენს ეზოებს ტბორავდა. ამასთან, უბანში ერთ ადგილას საერთოდ განადგურდა სანიაღვრე არხი. საჭირო გახდა აქ ახალი კონსტრუქციების ჩაწყობაზე ზრუნვა. რაც შეეხება სარწყავი წყლის არხს, აქ 250-300 მეტრის სიგრძეზე თითქმის გაუქმებული – ამოვსებული იყო მიწით. ჩვენი უბნის გასაჭირით არაერთხელ მივმართეთ საგარეჯოს რაიონის ყოფილ ხელმძღვანელობებს, მაგრამ... მხოლოდ დაპირებებით გვისტუმრებდნენ. ახლახანს კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთან მანავში დიმიტრი საბაშვილთან ერთად ჩვენი უბნის გასაჭირი შეისწავლა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ* დავით ივანიშვილმა** და ჩვენს პრობლემებსაც ეშველა – გაიჭრა ახალი არხი იმ 250-300 მეტრი სიგრძის, რომნელიც საერთოდ ვეღარ ატარებდა წყალს. ტექნიკის დახმარებითვე უბნის ზემოთ გამავალი სანიაღვრე არხი მთლიანად გაიწმინდა მიწისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან, უბნის შუა ადგილზე არსებული სანიაღვრე არხი ე.წ. „კიუვეტი“ 36 მეტრი სიგრძისა ჩაიწყო შესაბამისი კონსტრუქციის. ასე, რომ სარწყავი წყლის არხი წყლის გამტარუნარიანია, უხვთოვლიანობისა და წვიმის დროს აღარ გვემუქრება დატბორვის საშიშროება. აღნიშნული სამუშაოებისათვის სათანადო თანხა გამოყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

**მადლობას** ვუხდით **მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას** წლობით დაგროვილი პრობლემების მოგვარებისათვის და დიდი მადლობა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს*** დავით ივანისშვილს ჩვენი გასაჭირის გულთან ახლოს მიტანისა და მათი მოგვარების საქმეში აქტიურად გვერდში დგომისათვის.

*მანავის „ბურდიანის უბნის“ მცხოვრებლები*

## როცა შრომა ფასდება

# მოტივირებული სწავლებით

**მუნიციპალიტეტის** გამგებლის სამუშაო კაბინეტში შესულს ის სამი მოსწავლე დამხვდა, რომლებზედაც გამგებელმა სულ რამდენიმე წუთის წინ ტელეფონზე საუბრისას სიხარულით სავსე ხმით მაუწყა – ბადიაურის საჯარო სკოლის სამმა მოსწავლემ თავი ისახელა სწავლაში და სამომავლოდ ჩვენს რაიონს უფრო მეტი წარმატებებით გაახარებსო. მათთან დამშვიდობებისას სამახსოვრო საჩუქრები გადასცათ და წარმატებები უსურვათ.

ლაშა აგულაშვილი, ლევან გიქორაშვილი და ზურა ჯავახიშვილი IX კლასის მოსწავლეები არიან. მეექვსე კლასიდან მათ გერმანული ენის ნაცვლად ინგლისური ენის შესწავლა დაიწყეს სკოლაში და ახალი პედაგოგი ნანული ქვლივიძეც პირველ გაკვეთილზე გაიცნეს. ახლიდან დაიწყეს მათთვის უცხო, მაგრამ საინტერესო ენის შესწავლა. ნანული მასწავლებელი იქ მხოლოდ 2 წელი ასწავლიდა, შემდეგ კი მათმა მეცადინეობებმა უკვე კერძო გაკვეთილის სახე მიიღო.

იყო დაუღალავი მუშაობა პედაგოგისა მოსწავლეებთან, რომლებსაც წინა წლების „ჩამორჩენაც“ უნდა აენაზღაურებინათ. ბავშვებს მხარში ერთგულად მშობლებიც ამოუდგნენ და შედეგები ნელ-ნელა „დალაგდა“. ლაშამ „flex“ პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. მან ორი ტური წარმატებით გაიარა, მაგრამ როგორც ქ-ნი ნანული ვარაუდობს, მას მხოლოდ ასაკის გამო თუ დაიწუნებენ, რადგან ამ პროგრამაში მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასელებს რთავენ. თუ არა, ლაშა ამერიკის რომელიმე სასწავლებელში განაგრძობს სწავლას ერთი წლის განმავლობაში.

– სამივემ წარმატებული შედეგები აჩვენა „ქინგზის“ ოლიმპიადაში, რომელიც ერთ-ერთ უსერიოზულეს ოლიმპიადად ითვლება და იქიდან გადავიდნენ „რობინსონის“ ოლიმპიადაში, რომელიც მართალია თბილისში ჩატარდა, მაგრამ ეს იყო ამიერკავკასიის ქვეყნების საჯარო სკოლების მასშტაბით, – მეუბნება ქალბატონი ნანული, – ეს არ არის უმნიშვნელო, როცა სოფლის სკოლის მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ის უნარ-ჩვევები, ის პასუხისმგებლობა, რაც წელს მათ აკისრიათ. ამასთან, ისინი მშობლებისგან დიდ ყურადღებას და თანადგომას ხედავენ და გრძნობენ, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ თავიანთ შვილებს წარმატებების მიღწევაში.

– თუმცა ამაში, სიმართლე გითხრათ, უფრო მეტი ძალისხმევა და მონდომება, დიდი შრომა დევს თავად ქალბატონი ნანულის, – მეუბნება ლაშას მამა ბ-ნი ვალიკო, – როცა ხედავ პედაგოგის თავდადებას, როცა საქმით გიჩვენებს, როგორ იხარჯება ის, რა თქმა უნდა, მშობელი უნდა „მიჰყვეს“ შვილს და ხელი შეუწყოს მის სწავლა-განათლებას.



თუმცა ჩემთვის, გაზეთის თანამშრომლისა და საგარეჯოს მოქალაქისათვის კარგა ხანია, ათეული წლებია ცნობილია ის შედეგები, რასაც ქალბატონი ნანული აღწევს თავის მოსწავლეებთან –- ეს არის კოლოსალური შრომა, ყველანაირად აუნაზღაურებელი დრო, მონდომება და თავდადება, რაც ყოველთვის 100 პროცენტიანი შედეგით მთავრდება და არასოდეს 99,99 პროცენტით. დიახ, ეს წარმატებებია, რაც მოსწავლემ საგარეჯოელმა გურამ ნადირაშვილმა მასთან სულ 1 წელში ნასწავლი ინგლისურით გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა და 150 ბავშვიდან მხოლოდ ის შეირჩა. დღეს კი, რამდენიმე წლის შემდეგ გურამი ლონდონის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია. „flex“ პროგრამაში გაიმარჯვა და ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ნიუარკის სკოლა წარმატებით დაამთავრა ნატო აგულაშვილმა. თეონა ტაველიშვილმა, რომელიც დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ხან ამერიკის კვლევითი ცენტრის ასისტენტი იყო, ხან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრაქტიკანტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის სტაჟიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის მეთოდისტი, ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ხოლო შემდეგ იყო აშშ-ში, ბეთეზდაში საერთაშორისო მუნიციპალური იურისტთა სტაჟიორი, აშშ-ში, ატლანტაში ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, სადაც სამართლის მაგისტრის ხარისხი მიიღო, იყო აშშ-ს ატლანტის შტატის ქ. დეკატურის მერიის სტაჟიორი; ეკა ქვლივიძე – საგარეჯოელთათვის საყვარელი მფრინავი გოგონა; ვაჟა ფანოზიშვილი – დღეს კახეთის მხარის მთავარი პროკურორი, და-ძმა ოთარ და რუსუდან ფანოზიშვილები, ძმები მიხეილ და ვახტანგ ოქროცვარიძეები. გიორგი ნინოშვილმა კი 6 თვეში გაცვლითი პროგრამა მოიგო და კიდევ ვინ მოთვლის, რომელთაც ნანული მასწავლებელთან შესწავლილი ინგლისური ენით არაერთ წარმატებას მიაღწიეს და რაც მთავარია, მათ თავისუფლად შეუძლიათ ისაუბრონ ამ ენაზე – ნებისმიერ უცხოელთან, ნებისმიერ სპეციალისტთან, ნებისმიერ საკითხზე. არცაა გასაკვირი, რადგან ქ-ნი ნანულის მომთხოვნელობა, სიმკაცრე, პრინციპულობა და მოტივაცია – გაიხარჯოს და ნებისმიერ ბავშვს მაქსიმალური შესაძლებლობებით მიაწოდოს ის, რასაც მათი გონება-გახალისებული, მათი მცდელობა-მონდომება და საბოლოო მიზანი – წარმატებული შედეგი მართლაც წარმატებულ მომავალს შეუქმნის ახალგაზრდას. დღეს კი ლუკა ქვლივიძე (VII კლასელი), მარიამ გენგაშვილი (VI კლასი), ლიზი ნოზაძე (III კლასი), ანასტასია გილაშვილი (II კლასი) დიდი მონდომებით ეუფლებიან ნანული მასწავლებელთან ინგლისურ ენას.

როცა ქალბატონ ნანულიზე ვსაუბრობთ, ზემოთაც ვახსენეთ, წინა ხაზზე მისი შრომისმოყვარეობა, დისციპლინა და მომთხოვნელობა იწევს. არცაა გასაკვირი. მშობლები – დაწყებითი კლასების პედაგოგი მარიამ გილაშვილი და სამამულო ომის მონაწილე ვასილ ქვლივიძე შვილებში სწორედ ამ თვისებებს აწრთობდნენ. მშობლების დამსახურებები, რომლებსაც შვილებს მათ მიერ შრომასა და ომში მოპოვებული ჯილდოები, სიგელები, მედლები ახსენებდნენ, სწორედ პასუხისმგებლობისკენ უთითებდნენ. მათმა მონდომებამ კი ნაყოფიც კარგი მისცათ. ქალბატონი ნანული უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, თარჯიმნად მუშაობდა „ინტურისტის“ სისტემაში უცხოელ მოქალაქეებთან, რამაც კიდევ ერთხელ მისცა დიდი პრაქტიკა უცხო ენის დაუფლებაში, III კურსზე მისმა ინგლისურის ლექტორმა ნინო რაზიკაშვილმა მას „ბრაით ქედით – ბრწყინვალე თავი“ შეარქვა. სიმპოზიუმებში, მსოფლიო კონგრესებში, გამოფენებში აქტიურმა მონაწილეობამ ჯილდოებთან ერთად ბევრი რამ შესძინა მის პრაქტიკას. თუმცა, საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა, მაგრამ დღეს თავისი ნამოწაფრების მიღწევებით ამაყობს. ახლა ბევრს მოელის ლაშას, ლევანის და ზურასგან.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru